

ნოახევი

თბილისი
 გამომცემლობა
 № 21-22

1941
 „ნოახევი“
 ლიტერატურული
 და მხატვრული




საქართველო
 25/1
 თბილისი
 1941
 № 38

ნახ. გ. თოდუბა

სხალი ღვაკი ზამთარში

„განუწყვეტელი ბომბარდირების შედეგად უბინაოდ დარჩენილი ლონდონის მშრომელები ზამთრის სიცივეების გამო აუტანელ მდგომარეობას განიცდიან...“
 — ო, მილორდ, რატომ ჩამობრძანდით კანადაში ამ ცივ ზამთარში?
 — ლონდონში მაგარი სიცივეებია და ველარ ავიტანე.



მეგობრის აივანზე ვზივარ და მასპინძელს ველი. იგვიანებს მეგობარი. მოლოდინი მბეზრდება და ვცდილობ, გასართობი რამ ვამოვნახო:

ფფიქრობ გასართობზე და თან ბოლთას ვცემ, აივანი საკმაოდ ფართოა და შუაზე გადატიხრული. ვჩერდები ტიხრთან, რომლის იქით მხიარული მასლაათი ისმის. რაღაც ახირებული ცნობისმოყვარეობა მიპყრობს:

— მოდი ერთი შევიჭვრიტო ამ ნაკოჭაკარიდან, გავიგო, რა ხალხი ცხოვრობს იქით?

გადაწყვეტილებას უმალვე ვასრულებ — რასაკვირველია, ახირებული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. მართლაც საინტერესო ამბავს ვხედავ:

მეზობლის აივანზე სუფრაა გაშლილი — მადიანი სანოვავით, ბოთლებით, ღვინით, ჭურჭლით და, რასაკვირველია, შემხიარულებული სტუმრებით, წარმოიდგინეთ, ჩემი ნაცნობებიც კი იყვნენ მათ შორის მასლაათში ჩამბული. იქვე ტახტზე მჯდომ პატარა ბიჭიკოს გადაშლილი წიგნი ეჭირა და სხაპასხუპით იზებებდა:

ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზი,
დაურჩი დედაშენსაო,
საქმე, რომ არა გქონდესრა
ჩამოიბინე ჩვენსაო...

— ვახ, მაგ ასაცრელ ენის წვერში კი გენაცვალოს მამაშენი კიკოლა, — შეაწყვეტინა ბავშვს ზარხოში ხმით სუფრის ერთმა მონაწილე ყარაჩოღელმა.. — მერცხლის ბახალასავით რომ ქიკვიკობ რა კარგი რამეები გისწავლია... მერე როგორაო, ჩამაიბინეო? თქვი, მერცხალოჯან, თქვი.

წახალისებულმა ბავშვმა კიდევ უფრო მოჟომატა სხაპასხუპს:

გადგიშლი წიგნსა პატარას,
მეც მოგიჯდები გვერდსაო...
გასწავლი წერა-კითხვასა,
არაკებს გეტყვი ბევრსაო...

— აფერუმ, აი, ეს კარგია, — ამბობს დიდუბელი ნიკოლა და ეკითხება თანამესუფრეს — ჰა-ა, რას იტყვი სიკოლ, ანტიკა არ არის?

— ბიჭო, ე რა კაი რამეს ამბობს, ე ბაღლი, სად არი ემაგის-თანა კარგი წიგნი, ვიყიდი და ჩემ ბიჭსაც წაუღებ, — ჩაეკითხება დიდუბელი თედე. — პიონერია და სულ წიგნებსა კითხულობს. წიგნი და წიგნიო, მამავ, წიგნი არ დაგავიწყდესო, — მამაძახის ხოლმე ორლობეში, როცა ი სახედარით შემა მამაქვ ქალაქშია. რა ჰქვიან ბაღლო მაგ წიგნსა?

— „დედა — ენა“ ჰქვიან ძია, ეს ბიბლიოთეკიდან მომიტანა მამი-დამ...

— ვაიქი, ი გულკვდარი, რა კარგი რამეა, მაგრამა ახლა თქვენ გესმით მაგისი აქია თუ არა? — აცხადებს ავტორიტეტით ქარქვეტა-ანთ ალაპაუტილა და თან კოლოფიდან ორი თითით ბურნუთს იყრის ცხვირში.

— მითომ რა აქიაო დიდედოჯან? — მიუბრუნდება მას ჭირვეული ყარაჩოღელი...

— ის აქია, რომა მანდ ეხლანდელი ცოლქმრობის რაზვოდზეა ლაპარაკი. დაურჩი დედაშენსაო, — ვერ ატყოფ? ქმარს ცოლისათვის

რაზვოდი უქნია და შვილი დედასთან დაურჩენია რაღა, ალიმენტებს მერე გამოგიგზავნიო — უი არ გაგაძლოთ ღმერთმა მამაკაცებო (ქო-ქოლას აყრის).

— მართალია ქა-ა, ის გულკვდარი, — უმატებს ფეფელა და ტყუილ დალალებს ისწორებს.

— არა, მანდ სხვა ჰაზრია, დასძენს ყარაჩოღელი, — ეგ, ეხლანდელ ბიუროკრატ მოსამსახურეებს დასცინის: საქმე რომ არა გქონდეს-რაო, — ზნაჩიტ, რომლებიც რომ უჩრეყდენიაში უსაქმოთ სხედან და დროს მოსაკლავად აქეთ-იქით გაიპარებიან ხოლმე — რაღა, იმათზე ამბობს.

— მაიცა, მაიცა, ნუ ფილასოფოსობ, ტყულპრაფისორივითა, — აწყვეტინებს მას გვერდზე მჯდომი თანამოსუფრე, — მანდ სხვას ურტყამს: — მალხაზუა შოფერს არ იცნობ? — ეგ იმას დასცინის: ჩამა-იბინდე ჩვენსაო, — მითომ, როცა შენი გამეგ მიიყვანო, ჩამაიბინე ქალაქში, ერთიორი რეისი ხალტურა დაარტყი და კაი პური ჰამეო, — როგორც ეხლა ზოგი ვინმე შვრება რაღა, — ასე არ არი? — მიუბრუნდა იგი მესამეს.

— ვერც შენ გავიგია, — მიუგებს იგი, მართლაც ფილოსოფოსის გამომეტყველებით: მანდ სხვა რამეა, მანდ ლიკვიდაცია ბეზგრამო-ტნოსტის თავობაზეა რაღა, თუო-წერა-კითხვას გასწავლი უფასო-თაო, — სთქვა ეს და უფრო ეშხში შესულმა გულიანათ შემოსძახა:

სიყვარულის ზღვაში შაველ
ვიძირები, ველარ გაველ...

— ბიჭო, ე წერა-კითხვას ხომა ე ჩენი მთავრობა გვაპწავლის უფასოთა, ვენაცვალე მაგათ გამჩენსა, მეც ეგრე არ მაპწავლეს ა სი-ბერი დროსა? ალბათ სხვა რამე იქნება მანდა.

— მანდ ბატონო, ლაპარაკი ფოლკლორზეა, არაკებს გეტყვიო, — ვითომ: ხალხურ ზებირსიტყვაობას ჩაგაწერიებთო, რომე შემდეგში ვინცხამ გამოსცეს და სახელგამიდან ჰონორარი თვითან ეილოს შითო, რავაც ახლა ბევრი შობა, — ჩაურეგს თავის კომპეტენტურ აზრს სუფრის ბოლოში აქამდე ჩუმად მჯდომი ოლიფანტე კირკიმელი და ყველას თვალეში ჩააცქერდება — ხომ კაი რამე ვთქვიო?

— თქვენ ვერ გამაიცანით, — აწყვეტინებს მას ჭირვეული, — მანდ ზოგიერთ ნოქარს ურტყამს, — ჩამაიბინდე ჩვენსაო, — ვერ ატყობთ? მითომ გადამყიდველს ეუბნება რაღა, ჩამაიბინდე ჩვენსა მა-ლაზიაში, ახალი საქონელი მოგვივიდა, უოჩრედლოთ მოგცემ, გადა-ყიდე, შენც იხეირე და მეც მახეირეო, — მამაშ...

თითქოს ყველა მიხვდა, მაგრამ ვერც მიხვდა, ზოგი დათანხმდა, ზოგი ჩაფიქრდა, ბოლოს სიტყვა თამადამ აიღო და დაიწყო:

— მე კი იმას ვამბობ, რომ ეგ იმაზეა ნათქვამი, რაზედაც მოქმელს უთქვამს, მაგრამ ანალოგიის კანონით თქვენ ცდილობთ შეუფარდოთ სხვადასხვა სიმანინჯეს, რომელსაც დარტყმა უნდა.

— ოჰ, ფარსადან, შენ უკვე მოსულხარ? — ჩამძახა ამ დროს ყურში ჩემმა მასპინძელმა, რომელიც ისე მოსულიყო; რომ ვერ შევამჩნიე და როცა მასთან ერთად სახლში შევიდოდი, მეზობლის აივნიდინ უკანასკნელ სიტყვას მოვკარი ყური:

— დიად, დარტყმა უნდა მეთქი...



— ამ ჩვენს ქალაქში მსახიობს მადლიდან უყურებენ.
 — რატომ, უკადრისი ხალხია?
 — არა, მაყურებელი ქანდარაზე თუ აღის, თორემ პარტერს ცარიელია.

უცხო სახელი

ბუნარტრესტის მოანგარიშეს მიშოკო მუმ-ლაძეს ვაჟი შეეძინა. აღარ შეიძლება იმ სიხარულის აღწერა, რასაც მიშოკო და მისი ოჯახი განიცდიდა. პირადად მიშოკო, მართლაც ცას ეწეოდა.

— ვამბობდი, ბატონო, ბიჭია მეთქი და აი ასრულდა კიდევ. მე არაფერში არ შევცდები. ისეთი ბიჭია რომ... — სულ ახლადდაბადებული ბიჭის შესახებ იყო ლაპარაკი ბუღალტერის ოთახში.

— მიშოკო რას არქმევ სახელს, ეკითხებოდნენ ქალები.

— ეგ არის მთავარი! მაგაზე: კი გვაქვს ბევრი ფიქრი მე და ჩემ ცოლს, ჯერჯერობით ვერ გამოგინახია — დინჯად ამბობდა მიშოკო. დილიდანვე შემოვიდოდა თუ არა ოთახში, მისი შვილისათვის სახლების გამოძებნაზე იწყებოდა მსჯელობა.

— დასწყევლოს ეშმაკმა, მთელი ღამე ვეძიე წუხელის ენციკლოპედიაში, სიტყვარში, დედა — ენაშიც, მარა ისეთი სახელი ვერ აღმოვაჩინე რომ ხშირად არ გამოგონოს! — საყვედურობდა მიშოკო.

— თეიმურაზი დაარქვი მიშოკო — ურჩია ამხანაგმა.

— მაგას ვერ დავარქმევ, მიტომ რომ სპარ-

სული სახელია და სპარსელები ჩვენი მტრები იყვნენ — განმარტა მიშოკომ.

— თენგიზ, მუსტაფა, შოთა, აკაკი, შალვა, მურზაყან, ელგუჯა, ვაჟა, ილიოდორე, კალენიკე, ეგნატე...

— ურჩევდნენ თანამშრომლები.

— აჰა — პა — პა! არცერთი არ მომწონს ჩვეულებრივი სახელებია, გაცვეთილი. — უარობდა მიშოკო.

ორ კვირას გასტანა მიშოკოს ვაჟის სახელის ძებნამ. რა არ ურჩიეს, ზოგმა ახალი სახელიც კი გამოიგონა — მზებიჭა, ლომგულა, რისხვეხი, ომეხი, შვილდისარი, ჩახმახა, მაგრამ არცერთი არ მოეწონა მიშოკოს. თანამშრომელმა ბახვა კოკაიამ მთელი სია მოუტანა მიშოკოს მეგრული: ძუკუ, ხუხუ, ბარდლა, გახუ, ჭაჭუ, გუჯუ, ფილუ, ილა, ძოკია, ბახურია, ფართხუნია, გიძო, გუტი, ჯოტი, ძარგუ, გუთუმანი — მაგრამ არც ამან გასჭრა.

ესენიც დაიწუნა.

— იქნება კახური, ან ქართლური სახელების სიიდან ამოვარჩევინოთ, ზრუნავდნენ ყმაწვილები

— ვცადოთ.

მეორე დღეს ახალი სია წარუდგინეს:

— ლიპარტი, ნოდარი, ნუგზარი, საბა, მიხა, ქიტა, გასა, ნიკა, ხეთისავარი.

— არა, არა ყმაწვილებო, — ყველა სახელი გაგონილი მაქვს, მაგრამ ახალი მინდა, სხვანაირი, უცხო სახელი, ალერსისათვის ზედგამოჭრილი რომ იყოს.

არ იქნა და არ ეშველა არაჩვეულებრივი სახელის კოლექტიურად გამოძებნას.

ასე გავიდა მთელი თვე და ბიჭის სახელი ვერ გამოინახა. ერთ მშვენიერ დღეს მიშოკო გაბრწყინებულ სახით შემოვიდა დაწესებულებაში. ჰკითხეს კარგი ხასიათის მიზეზი.

— მოვიშორე მთავარი დარდი, სახელი დავარქვით ბიჭს სახელი! — სთქვა გამარჯვებულმა.

— აჰ! რაო? — მიცვივდნენ თანამშრომლები.

— რა დაარქვი, რაღაც კარგი რამ იქნება, უცხო სახელი იქნება — მსჯელობდნენ ყველანი.

— დიად დავარქვი... კოსტა.

— თანამშრომლები გაოცდნენ. ეგონათ ხუმრობდა მიშოკო — ეგ არის შენი ამორჩეული უცხო სახელი? — ეკითხებოდნენ მას.

— უცხო არ არის, მაგრამ სამაგიეროდ მრავალფეროვანია — კონსტანტინე, კოსტა, კოტე, კისტი, კოტიკო და კოწია — რომელიც გინდა ის დაუძახე, დიდებული რამეა. — და კმაყოფილი მიშოკო თავის დავთრებს მიუჯდა.

ღონ — პედრო.


„მთელი წლის განმავლობაში ცდილობს იაპონიის არმია
ქალაქ შანსის აღებას, მაგრამ უშედეგოდ“.

დღეგაზეთი
საბჭოთა

ნახ. ან. კანდელაკისა



- აშკარად დავრწმუნდი, რომ შანსი დაიკარგა.
- როგორ, განა შანსიდან არ გვაყრიან ჩინელები ამ ყუმბარებს?
- სწორედ მაგან დამარწმუნა, რომ შანსის აღების შანსი ჩვენთვის დაკარგულია.



დარბაზი. ტრიბუნა. ორატორი რეკვიემ უნ-
დილაძე ამბობს მოსაგონარ სიტყვას. აცვია
გახუნებული პალტო, აქვს ლურჯი სათვალე.
თავი მოაქვს ტალანტად, რომელიც ვერ და-
აფასეს.

რეკვიემი. ძვირფასო ამხანაგებო, დღეს
ვზეიმობთ დიდებული საზოგადო მოღვაწის,
ძვირფასი ილიოდორის გარდაცვალების ოცდა-
სამი წლისთავს. უსათუოდ სადღესასწაულო
თარიღია. ილიოდორის დაკარგვის წლისთავები
ყოველთვის სიხარულით ავსებდა ჩემს გულს,
ვინაიდან საერთოდ უნდა მოგახსენოთ, რომ
დიდად გულჩვილი კაცი ვარ. ბევრს ალბად
ვაუკვირდება: ასეთი მეხვიეთ ვაჟაკი გულ-
ჩვილი როგორ იქნებაო, მაგრამ გარწმუნებთ,
რომ ეს ასეა. მაგალითისათვის მოგახსენებთ
ერთ ეპიზოდს:

ერთხელ მე და ილიოდორი წარდს ვთამა-
შობდით. ათ ხელში ცხრა მომიგო. ვთამაშო-
ბდით მანეთიანს: თავი დაგებასე დიახ. ვითა-
მაშეთ და კაი ოცდასამი მანეთი წავავე. წავა-
ვე, შენ ხარ ჩემი ბატონი და ამიჩვილდა
გული. ამიჩვილდა მარა რა ამიჩვილდა! არ
იქნა და ვერ დამაშოშმინა, სანამ ჩემი ფული
მთლიანად არ დამიბრუნა და სადილზედაც
არ დამაბატიყა... (ცრემლები მოსდის).

ხმა აუდიტორიიდან. თვითონ ილიოდო-
რის მოღვაწეობაზე სთქვით.

რეკვიემი. ვიტყვი, გენაცვა, ვიტყვი. ჰო,
იმას მოგახსენებდით, დიდებული მოღვაწე
იყო საწყალი და დიდი გამოცნობაც იცოდა
აღმნიანის. მაგალითად, მე დავიბადე თუ არა,
მაშინვე სთქვა ჩემზე: ეს ბიჭი, რეკვიემი, გე-
ნიოსი იქნებაო. რაზე მატყობ მეთქი. — ვად-
მოვძახე აკვნიდან. რაზე და სწორედ მაგაზე,
რომ ნახევარი საათია, რაც დაიბადე და უკვე
ლაპარაკობო. (დარბაზში სიცილია)

დიახ. ძალიან გამჭრიახი კაცი იყო. სკო-
ლაში შევედი თუ არა, ილიოდორმა მაშინვე
განუცხადა მოსწავლეებს: თუ ჩემგან ვერ გა-
იგოთ რაიმე, ამას — რეკვიემს ჰკითხეთ და
ავიხსნითო. სულ რაღაც ერთ წელიწადში
დავამთავრე გიმნაზია და მაშინვე შევედი ვე-
ტერინალურ ფაკულტეტზე, რომელიც მებალ-
ღინჯო-მერწყილეობის განხრით დავამთავრე.
ამ დარგში ბევრი გამოგონება მაქვს. სხვათა-
შორის, მე მეკუთვნის ცნობილი გამოგონება
ბაღლინჯოების დახოცვის შესახებ, რაც ხდება
აგურის ფხენილის გადაყლაპვინების საშუალ-
ებით. (დარბაზში ხმაურობაა)

რეკვიემი (განაგრძობს) დიახ, თავიდანვე
მქონდა ტალანტი, თუმცა არავის სჯეროდა
ჩემი. გამოვიგონე, მაგალითად, ორბორბლიანი
მანქანა, რომელზედაც კაცი ზის და მიჰყავს,
როცა სათანადო ორგანოში მივიტანე, იქ მით-
ხრეს, ეს ველოსიპედიო, რომელიც დიდხანია,
გამოგონებულიაო და პატენტი აღარ მომცეს.
რა თქმა უნდა, ეს ინტრიგა იყო იმათი
მხრივ...

ხმა. ილიოდორზე ილაპარაკეთ!

რეკვიემი. ჰო, იმას ვამბობდი. ერთხელ
ილიოდორი მოვიდა ჩემთან. დავსვი, ვასვი,
ვაჭამე, გამოვიტანე ჩემი დიდი რომანი „ხეი-
თო“ და დავიწყე კითხვა. ჯერ მესამედიც არ
მქონდა წაკითხული, რომ განსვენებულს გული
წაუვიდა განცთებისაგან და კინაღამ გარდაი-
ცვალა... როცა გონს მოვიყვანეთ, წამოხტა
და მითხრა: თვალთ აღარ დამანახვო ეგ
რომანი, მე მაგას ვერ ვაფუძლ. ბო. ესე იგი, ამ-
დენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

რეკვიემი. ახლა სად არის ის რომანი?

რეკვიემი (ამოიხრბეს) ეჰ, ნულარ მომა-
გონებ: გადავეცი სტამბას ასაწყობად. ათი
კაცი აწყობდა. მეოთხედიც არ იყო აწყობილი,
რომ მეტისმეტი განცდებისაგან და შთაბე-
ჭდილებისაგან სამ აწყობს აპენდიციტი და-
ემართა, ერთს — თიაქარი, ოთხს მიოკარდიტი
და ერთს იმდენად აეშალა ნერვები, რომ
სტაცა ხელი ჩემს რომანს და ლუმელში შე-
ავლო...

მეიმი — ფსიქიატრი (აუდიტორიიდან) ბუ-
ნებრივი მოვლენაა.

მეიმი. ილიოდორმა რა სთქვა ამ სასი-
ხარულო მოვლენის ირგვლივ?

რეკვიემი. იგი მაშინ პრესაში გამოვიდა
სტატიით, სადაც აღნიშნა, რომ რომანი იმ-
დენად შემადრწუნებელი ფსიქოლოგიური ხა-
სიათის იყო, რომ სულერთია, თუნდაც და-
ბეჭდილიყო, მკითხველთა ფართო ფენებს აუშ-
ლიდა ნერვებსო; ამდენად გამართლებულია
ამ რომანის დაწვაო. საერთოდ ილიოდორი
ჩემზე მაღალი აზრის იყო. ბოლოს მე დავწე-
რე ტრალი — კომედია, რომელიც ვერც ერ-
თმა თეატრმა ვერ დადგა, რადგანაც მოქმე-
დება პლანეტათაშორისო სივრცეში მიმდინა-
რეობდა და მთავარ მოქმედ პირებად ოლიმ-

პის ღმერთები იყვნენ გამოყვანილი. ამის შე-
მდეგ მე ლექსების წერას შეუდექი, მაგრამ
ვინაიდან ყველა რითმა, მეტრი და რიტმი
ნახშირი და გამოყენებული აღმოჩნდა, რავე
მივანებე.

(დარბაზში ხმაურობაა. ხმები: „გეყოფათ!
გეყოფათ! ეგ მეტისმეცია!“)

რეკვიემი. მაქვს აგრეთვე დიდი ტალანტი
მუსიკაში, მედიცინაში, ნუმინმატიკასა და
გეოგრაფიაში. სხვათა შორის, კოლუმბს რომ
არ დაესწრო, მე უფრო ადვილად აღმოვაჩენ-
დი ამერიკას, ვინაიდან სად ახლანდელი სა-
ნაოსნო ტექნიკის დონე და სად მაშინდელი...
სხვათა შორის, აღმოვაჩინე, რომ ზამთარში
დღე იმიტომაც პატარა, რომ საერთოდ სი-
ცივისაგან საგნები იკუმშებიან... ამას გარდა,
თვით ილიოდორზე შემიძლია ვთქვა, რომ თუ
იგი არ მომკვდარიყო, ახლაც ცოცხალი იქ-
ნებოდა...

(ორატორს აღარ აცლიან და აქევიბენ ტრი-
ბუნნიდან.)

რეკვიემი (უკვე ქუჩაში). ამათაც ვერ გა-
მიგეს... რა უზარმაზარი გენია ვარ: არავის
ესმის ჩემი...

ალლაბ-ალლაბსან.




გეგონების

ნახ. გ. ისაევისა

— სამი წელია ამ საწყობში ვმუშაობ და დღემდე დირექტორის მიერ არავითარ ბოროტ-
მოქმედებაში არ ვყოფილვარ შემჩნეული. რათ მხსნით სამუშაოდან?
— დამშვიდდით. თქვენთან ერთად დირექტორსაც ვხსნით სწორეთ იმის გამო, რომ მის
მიერ სამი წლის განმავლობაში შეუმჩნეველი რჩებოდა თქვენი ბოროტმოქმედება.

აღიას კარაქი და ბეგის თოხარიკი



ამბავი, რომელიც მინდა მოგიხროთ, მოხდა აჭარაში, ამ ორმოციოდე წლის წინათ. მაშინ მთელი აჭარა მეფის მოხელეთა და ბეგების საპარპაშო ასპარეზს წარმოადგენდა. ისინი, როგორც მოგვრანებოდათ, ისე სძარცვავდნენ და ამცირებდნენ დაბალი წოდების ხალხს, მაგრამ ხანდახან გამოერეოდა შემთხვევა, როცა ეს დამცირებული ხალხი სამაგიეროს აწვდევინებდა მჩაგრელებს და აბუჩად ავლებას შეხანებდათ ერთ ასეთ, რასაკვირველია არადამახასიათებელ, არამედ ფრიად გამოჩაქლის შემთხვევის შესახებ მინდა მოგიყვებო.

აღიას კარაქი მთელი ერთი ფუხარა გლეხი იყო, წერილშვილიანი. მაგრამ იგი განთქმული იყო თავისი მოხერხებითა და გონებამახვილობით. მან, როგორც ამბობდნენ, სრულიად უსერიმიოდ ანუ თანამედროვე თერმინით რომ ვთქვათ, საბრუნავი თანხის უქონლად, დაიწყო ჩაღვადრობა.

ორი წლის განმავლობაში იმდენი მოახერხა, რომ საკუთარი ცხენი შეიძინა, კარგი ვერცხლის საათი, თავისი არშინიანი ძეწვეით გულზე დაიკიდა და შვიდღირვა თუმანი „სერიმიაც“ გაიჩინა. ასე რომ მას ზოგიერთები უკვე აღასაც კი ეძახდნენ.

აღიას აჭარის სოფლებიდან ბათუმში გასაყიდა დაჭონდა კარაქი, ყველი ხილი და სოფლის სხვა ნაწარმი. ბათუმიდან კი სოფლისაკენ ბრუნდებოდა ხმელი თევზით, მარილით, ნავთით და სოფლელებისათვის საჭირო სხვა წვრილმანი საქონლით დატვირთული.

აღიას თავისი, „სერიმიით“ ხელში, მიაღება, ბეშუმის მთაზე, მეჯოგებს: ხუსეინა გორგაძეს და ოსმანა თავდუმაძეს, ჩაუთვალა ექვსი ოქრო და ექვსი ფუთი კარაქი გამოართვა.

აღიას კარაქიანი კასრები აჭიდა თავის ლაფშას და გაუდგა ბათუმის გზას. ფიქრობდა: ერთ ხუთმეტ მანეთს მაინც გამოგორჩები ამ კარაქს, აქეთობისას კიდევ თევზს და ნავთს წამოვიღებ და იმასაც რამეს დავატოვებ და საქმე კარგად წავაო.

მაგრამ ოცნება ტკბილი იყო და როგორც ქვემოთ დავინახავთ, სინამდვილე მწარე აღმოჩნდა.

უკვე ღამდებოდა, როცა აღიას ქედას მიუახლოვდა და თემურ ბეგის თეთრ სახლს გაუსწორდა. თემურ ბეგი აივანზე იჯდა და ყალიონს ეწეოდა. აღიას მოწიწებით მიესალმა ბეგს:

- სალამო მშვიდობისა თემურ ბეგ?
- ოჰ, გამარჯობა აღიას! შემოვლამებია ბიჭო, ეს რა მიგაქვს?
- კარაქი, ბატონო.
- ჩამოდი აღიას, ჩვენთან დასვენე ამდამ და დილით წადი, ამ ღამეში სად უნდა იარო?

—დიდ მადლობას მოგახსენებ ბატონო, მაგრამ უნდა წავიდე, ვერ დავდგები. —ა, შენ ეშმაკო, ალბად გეშინია ჩემმა ბიჭებმა კარაქს ხელი არ გიხლონ. მაგისი დარდი ნუ გაქვს. ბელელში შეიტანე შენი კასრები, ბოქლომი დაადე და გასაღებიც თვით შეინახე. რას იტყვი, ახალაც აღარ მოიციდი? ხა-ხა-ხა...

ბეგის წინადადება აღიას კუთხეში მოუვიდა, სწორედ იმიტომ არ უნდოდა მოცდა კარაქს მომპარავენო, თორემ მეორე დღეს აღიონზე ამდგარი მაინც ჩავიდოდა ბათუმში თავის დროს და ამ ღამეში მოგზაურობა სახიფათოც იყო.

- ბატონო, თქვენი შეწუხების მერიდებოდა, თორემ...
- დარჩი, ბიჭო, დარჩი, რა უნდა შემაწუხოს შენმა სტუმრობამ, მამა გიცხონდა ირემს დაგიკლავ, ხა-ხა-ხა...

აღიას დარჩა. თავისი კასრები ბელელში შეაღება, ბოქლომი დაადო და გასაღებიც ჯიბეში ჩაიღო, თვით სამოხალეში დააწვიანა.

მეორე დღეს აღიონზე ადგა აღიას, აჭიდა ცხენს საპალნე და გაუდგა გზას. როცა აღიას შევიდა ბათუმის ბაზარში, მედუქნეები შემოეხვივნენ.

აღიას გაუმარჯოს! აბა ყარდაში, გვიჩვენე შენი კარაქი როგორია? —ოქროსავით კარაქი მაქვს ძიავ, ოქროსავით!

—აღიას გახსნა კასრი და უცებ გაფითრდა. კასრში კარაქის ნაცვლად საქონლის პატივი და მიწა იყო. მაშინვე მიხვდა რა ოინიც უყუო თემურ ბეგმა, მაგრამ რალა გაეწუხებოდა. მან სასწრაფოდ დახურა კასრი და ხელახლა დაიწყო მისი შეკვრა თოკით. ეშინოდა, თუ გაიგეს, როგორ მოგტყუვდი სიცილს დამაყრიანო.

მედუქნეები გაოცდნენ. —რას შევბი შე ბეგო! გახსნის მაგიერ ჰკრავ კასრებს? —შეუტია ერთმა მედუქნემ.

—არ ვყიდი ძიავ და... არ ვყიდი ბითუმად! ხეალ მე თვითონ გავეყიდი თუკობით. ვაჭრებმა ბევრი ლანძღეს აღიას, მაგრამ იმან მაინც შეჭკრა თავისი კასრები ისევე აჭიდა ცხენს და გავიდა ბაზრიდან.

ბრაზისაგან სახე შეწითლებულმა და აცანცახებულმა ჩაღვადარმა ქალაქს გარედ დააყენა ცხენი და ჩამოიღო საპალნე. გახსნა მეორე კასრიც, იმაშიც ნაკელი მიწა ეყარა. უნდოდა დაეტალა კასრები, მაგრამ უეცრად რალაც აზრმა გაუელვა, გაეღიმა, ისევე აჭიდა საპალნე ცხენს და მიაბრუნა ქალაქისაკენ.

აღიას გულს უკლავდა ორი რამე: ერთი, რომ ასე გაასულელეს და მოატყუეს, მეორე, რომ მისი საბრუნავი თანხა დაიღუპა და მოსაგებზე ოცნებაც გაქრა.

მაგრამ ამ წამდარ საქმეზე ორი რამ მაინც ახარებდა მას: ერთი, რომ ისე მოახერხა ბაზრიდან მიწით საესე კასრების გამოტანა, არავის გაუგია მისი შერცხენა, მეორე: მან განიზარაბა ეს ნაკელიანი კასრები თემურ ბეგის სახელით მიერთია.

ბეგის მეგობრის, მეფის ბობოლა მოხელე ხრაპკინისათვის, რომელიც, აღიას იმედი ჰქონდა, არ აპატიებდა ბეგს ასეთ ხუმრობას და შესაძლო იყო სამკედრო-სასიცოცხლოდ გადამტყუებოდნენ ერთმანეთს.

აღიას თავის გადაწყვეტილება მოხერხებულად მოიყვანა სისრულეში. როცა ჩაღვადარი ხრაპკინის ეზოში შევიდა, უკან კარებიდან, მასპინძელი თავის „ბრწყინვალე“ სტუმრებით, თავისი ლამაზი „ოსობნიაკის“ აივანზე ქვიფობდა. როცა მოახსენეს, რომ თემურ ბეგს ფეშქაში გამოუგზავნიაო—მან აავსო ჰქიქა და დიდი ამბით შესვა ბეგის სადღეგრძელო. ჩაღვადარსაც შეზარხოშებულმა მასპინძელმა, როგორც მედღენს, ოქროს ხუთიანი ხელათვე გადაუდგო.

აღიას ჩამოსხნა კასრები და ხრაპკინის მზარეულს ასე უთხრა: —თემურ ბეგმა თავის ბიძაშვილის ასლან ბეგისათვის სასწრაფო ბარათი გამოიმოტანა; იმას მიუბრუნებ მე რე მოვალ და გავხსნი კასრებსო.

* * *

აღიას, თავის ლაფშას მიაჩინდრიკებდა აჭარის მთებისაკენ და ხუთი კილომეტრი ისე გაიარა, რომ არა თუ არ დარდობდა, პირიქით, განარებულაც იყო რომ მოახერხა და რამდენიმე მაინც გადაუხადა სამაგიერო ბეგს. ის ხუთიანი ოქროც ხომ რამეს ნიშნავდა.

მაინც საბოლოოდ ხომ ამით ვერ დაკმაყოფილდებოდა აღიას. ის აწყობდა გემებს, თუ როგორ გადაეხადა სამაგიერო ბეგისათვის, მაგრამ ვერაფერს იგონებდა: ბეგთან ბრძოლა მას არ შეეძლო არც ღონით და არც სასამართლოს წესით. გადასწყვიტა არავისთვის გაემხილა რაც მას თემურ ბეგმა უყო და არც თვით ბეგისათვის შეემჩნევიანებია, რომ ნაწყენია.

აღიას შურისძიებაზე იმდენად აღარ ფიქრობდა, მას უფრო ქონებრივი ზარალის ანაზღაურება უნდოდა, მაგრამ როგორ?

აღიას ბეგის თეთრ სახლს ისე ჩაუარა, რომ არავის შეუნიშნავს, მაგრამ ცოტა დაშორებით რეჯება კუხიანი შემოეყარა თემურის მეჯინებზე, იგი ბეგის ლურჯას მოათხოვარიკვდა.

აღიას თვალი დაატანა კოხტა ცხენს და გაიფიქრა თავის შურისძიება მასთან დაეკავშირებია, თუმცა რა სახით ეს კი ვერ მოიფიქრა მაშინ.

—გამარჯობა აღიას! როგორ გაპყიდე კარაქი! კასრები რა უყავი?—ეშმაკური ღიმილით შეეკითხა კუხიანი, მას ეტყობოდა, რომ საიდუმლო იცოდა.

—კარაქი ძიავ კასრებიანად გაეყიდე! ერთი ბეგი რუსი შემხვდა და მითხრა ასე მომიყიდე თავის კასრებიანად. მე ავიღე და მივეყიდე კაი ფასში—უთხრა აღიას კუხიანს და შემოაჭკრა მათთან ცხენს, რომ აღარ გაეგრძელებინა საუბარი.

შინ მისვლამდე აღიას სულ ბეგის ლურჯაზე ფიქრობდა. თავის ეზოში რომ შევიდა, ლაფარესთან ვილაც შეთვალწარბა გოგონა დაინახა, დააკვირა მაგრამ ვერ იცნო.

- აღიავ როგორ ხელცარიელი დაბრუნებულხარ, კასრები, მაინც რა უყავი?
- წითელი აიშე ხარ შენ? გაგებენდი კაცი, ველარ გიციანი შე გომბიო.

ეს გოგონა იყო აღიას დაი, მას დღეს პირველად შეეღება თვალწარბი-გუნდა-ლანტუსტაკით და წითური გოგონა, რომელსაც მეტ სახელად წითელ აიშეს ეძახდნენ, სრულიათ გამოეცვალა წარბ-წამწამების გაშავებას.

აღიას კიდევ დააკვირა აიშეს და გულში გაიფიქრა: —როგორ გამოუცვლია სახე, სწორედ ვერ ვიცნობდი, რომ არ დამლაპარაკებოდა. მე რე შეტლზე თითი მიიღო, რალაცაზე დაფიქრდა და გოგონას უთხრა:

- კაი გიქნია, კაი ასე შეიძლება შეიღებოს ლურჯაც, სულ გამოიცვლება, ველარ იცნობს პატრონი!
- რას ლაპარაკობ აღიას, ხომ არ გაგებენდი?—შეეკითხა აღიას თავისი ცოლი ემინე, რომელიც ხმაურობაზე გამოსულიყო.

—კარაქი კასრებიანად გაეყიდე! ისეთი მუშტარი შემხვდა უკასრებოდ არ წაიღო!—უპასუხა აღიას.

* * *

სამი დღის შემდეგ თემურ ბეგმა ხრაპკინისაგან მიიღო ბარათი, რომელშიაც, გაბრაზებული მოხელე ბეგს უწოდებდა ველურს, უზრდელს, თავნებდს და ეშმაკრებოდა სამაგიეროს გადახდით, მაგრამ ბარათიდან ბეგმა ვერ გაიგო მიზეზი თუ რამ გამოიწვია მისი გულითადი მეგობრის, ხრაპკინის ასეთი გულსწყრომა.

ბეგმა მოისურვა თვით ჩასულიყო ბათუმში და გაეგო რაში იყო საქმე, მაგრამ მოსამსახურე ბიჭებმა დაიარეს მთელი საბალახოები და ლურჯა ვერსად აღმოაჩინეს.

ორი თვის გამუდმებული ძებნის შემდეგ თემურ ბეგი დარწმუნდა, რომ ლურჯა უთუოდ ხრაპკინმა მოაპარვინა ვილაცს და რუსეთში გაგზავნა გემით, თორემ გურიაში, ან აჭარაში რომ ყოფილიყო უთუოდ აღმოვანდებოდა.

ამ ფიქრში იყო თემურ ბეგი. როცა აღიას ჩაღვადარმა სალამი მოახსენა და მოწიწებით მოიკითხა როგორ ბრძანდებოდა.



— ოჰ, მეგობრებო, აქ, ბუნების წარმტაც წიაღში, სულს ანთებს შემოქმედების წყურვილი.
— იმიტომ გეუბნებოდით მეც, რომ ვედრონახევარი არ იკმარებს მეთქი!

— რაღა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე, ალიაგ, ისეთი ლურჯა დავკარგე, რომ თვალის სინათლეს მერჩია, იმისთანა თოხარიკ ცხენს მთელ ქვეყანაში კაცი ვერ ნახავს.

— ძალიან ცუდი საქმე მოგვლია ბეგო, მაგრამ თქვენ კარგად იყავით და ცხენის მეტი ქვეყანად რა იზოგნება. გინდა მე მოგყიდო, ისეთი ცხენი მყავს სწორედ სათქვენოა, ვარსკვლავებს ეთამაშება.

— მომიყვანე ალიაგ, ჩემი ლურჯასთან, თუ იქნება, ფულს არ დავიშურებ.

— ჩემს ლურჯას სწორედ ვერ დაიწუხებთ ბეგო.

— რა, შენი ცხენიც ლურჯაა?

— არა ბეგო, ჩემი ცხენი მუქი წაბლისფერია, მაგრამ სახელად მაინც ლურჯას ვეძახი.

— ახირებულია შენ ნუ მომიკვდე, მაგრამ არა უშავს, მომიყვანე და თუ მომეწონა სახელს გადავარქმევ.

* * *

ალიამ თემურ ბეგს მოუყვანა ცხენი. თემურმა ახედ-დახედა, შეეჯდა გააქენ-გამოაქენა, თოხარიკით წაიყვანა. აღტაცება ვეღარ მოითმინა:

— ალიაგ, როგორ გამოზარდე ასე? ალახს ვფიცავ, ჩემს ლურჯას არ ჩამოუვარდება! უნდა მომყიდო, მარა ახლა ძალიან ძვირს ნუ დამიფასებ.

— ორას მანეთს გამოგართმევ ბეგო!

ბევრი ვაჭრობის შემდეგ თემურ ბეგმა ხუთმეტი თუმანი ოქრო ჩაუთვალა ჩაღვადარს.

მეორე დღეს, თავის მეჯინებე კუზიან რეჯებას, თემურ ბეგი თვითონაც წაჰყვა ლელეში, რომ ვეჭურებინა ახალნაყიდი ცხენის დაბანასა და დაურეგებაზე.

რეჯებამ ჩააყენა ცხენი ლელეში, გადაავლო წყალი ზურგზე, წაუსვა საბონი და დაუწყო ბანა. ბეგმა შენიშნა, რომ ბანის დროს ცხენს რაღაც არაჩვეულებრივად შავი წყალი ჩამოსდიოდა, დაუკვირდა ხედავს, რომ ეს შავი ცხენი თანდათან ლურჯდება, რეჯება კუზიანმა რომ თავი დაჰბანა ცხენს, ბეგმა უცებ შესძახა:

— ალახს ვფიცავ. ეს ჩემი ლურჯაა, ხედავ როგორი ოინი გამიკეთა იმ შეითანმა?

— ჰაი გიდი, როგორ გაგვაბეჩა იმ ეშმაკის კერძმა. როგორ ვერ მივხვდით, რომ ალია ფუხარას ასეთ თოხარიკ ცხენს ვინ მიაქვავებდა! მაინც მე რამ გამაბეჩა მე უბედური, ეს ჩვენი ლურჯა ისევ ჩვენს საბალახოზე ბალახობდა, როგორც კი დამინახავდა შემომბიხინებდა, მარა რას მივხვდებოდი. რამდენიმეჯერ ჩვენს ეზოსაც მოადგა ჰიხინით, შემომიშვი ეზოშიო მეხვეწებოდა, მე რა ვიცოდი ჩვენი ლურჯა იყო. მაინც როგორ შეუღებავს იმ ეშმაკს.— წუწუნებდა კუზიანი რეჯება და თან გულში ეცინებოდა.

— არა, როგორ გამიბედა, მაგ წუწუმა, ა?— ბრაზობდა ბეგი.

ლელეზე გადმოყუდებულ მაღალ კორტოხზე ჩასაფრებულ ალიას ეს საუბარი კარგად ესმოდა და გულში იცინოდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და გადმოსძახა:

— არ გეწყინოს, ბეგო, მე ერთი საწყალი კაცი ვარ, ჩემი კარაქის ფული ავიღე!



„რადიო ბამბა“

იმ საქვეყნო სასარგებლო გამოგონებათა შემდეგ, რაც ჩვენ წინა ნომრებში გავაცანიით საყვარელ მკითხველებს, გადაწყვიტეთ ცოტა შესვენება, მაგრამ ერთმა გარემოებამ ხელახლა აგვალბინა ხელში ფანქარი და „ცირკული“.

როგორ გადავარჩინოთ თავი დამსხვრევისაგან

ჩვენს თვალუწვდენელ და დიად სამშობლოში ქალაქი თბილისი რაც შეიძლება სამხრეთითაა მოქცეული, მაგრამ ზამთარში ზოგჯერ აქაც თოვს და ყინავს.

გაყინავს თუ არა ქვაფენილს, თბილისის ქუჩებში ნაკლებად მიმზიდველი სცენები იმართება: მოქალაქეს, მანქანას და პირუტყვს ყოველგვარი სურვილის წინააღმდეგ უცდება ფეხი ყინულზე. ადამიანი ეცემა ქვაფენილზე და იზიანებს სხეულის სხვადასხვა საჭირო ნაწილებს. განსაკუთრებით კი ზარალობს ადამიანის თავი. ეს ყველაზე უფრო აუცილებელი ნივთი მაინცდამაინც ეხებოდა ქვაფენილზე და დიდ გაჭირვებაში ადგებს პატრონს.

ჩვენ შევადგინეთ პროექტი რომლის განხორციელება მრავალ თავს გადაარჩენს დამსხვრევისაგან.

ამ პროექტის მიხედვით ყინვის დროს მოქალაქემ პორტფელში უნდა ატაროს რეზინის ბალიში. დაუცდება თუ არა ფეხი, დაუყოვნებ-

ბლივ უნდა ამოიღოს პორტფელიდან ბალიში, გაბეროს და დაადოს ქვაფენილზე იმ ანგარიშით, რომ დაეცემა თუ არა, თავი ბალიშზე მოხვდეს.

თავისთავად ცხადია, ასეთი გამოგონება მრავალ თავს უზრუნველყოფს გატეხვისაგან, მაგრამ ერთი უხერხულობა თან სდევს ამ შესანიშნავ საშუალებას; მართალია, თავი გადაარჩება, მაგრამ გვერდები, წელი, ნეკნები, ფეხები და სხვა არანაკლებ საჭირო საგნები დაუცველი რჩება. ამიტომ, ჩვენ იძულებული ვართ შევავსოთ ეს გამოგონება შემდეგი მარტივი დეტალით: მოქალაქემ პალტოს ქვეშ უნდა ჩაიცვას საბნის კოსტუმი, რათა დაცემის დროს რბილად დავარდეს ქვაფენილზე.

არსებობს ამაზე უფრო მარტივი, იაფი და ხელსაყრელი გამოგონება გაყინულ ქვაფენილზე დაცემის წინააღმდეგ. ეს გამოგონება ასეთია: ქვაფენილიდან და ასფალტიდან უნდა აიფხიკოს თოვლი და ყინვა და სისტემატურად იქნას მოყრილი ქვიშა, ან ნახერხი.

მაგრამ ჩვენ არ გვაქვს იმედი, რომ ქალაქის საბჭოს კომგანი შარშანდელივით პასივობას არ გამოიჩენს ამ საქმეში. გარდა ამისა, ჩვენი გამოგონება იმ უპირატესობით სარგებლობს, რომ ბალიშით ხელში შეგიძლიათ უშიშრად იაროთ მთელს ქალაქში, მაშინ, როცა კომგანი ქვიშისა და ნახერხის მოყრას აწარმოებს მხოლოდ ორ — სამ ქუჩაზე,

კვლავ დაუყოვნებლივ მივიჩიოთ, თუ რა უნდა გავაკეთოთ, რადგან ვგრძობდით ქალაქის მოჭარბებულ მოწოლას. სასწრაფოდ გამოვიგონეთ ულიანდარო ტრამვაი, რომელსაც ბორბლები ისეთივე აქვს, როგორც ავტობუსს და უკანასკნელისაგანაც მარტო იმით განსხვავდება, რომ ელექტრონით მოძრაობს. რომ დავაკვირდი ნახაზებს, მელანქოლიამ შემიპყრო — თურმე ტროლეიბუსი გამოგონებულია.

შუბლიდან თითი არ ჩამომიღია, ისე შევუდექი ფიქრს ახალ გამოგონებაზე. გამოვიგონე უებარი საშუალება რადიოს შესახებ. პირდაპირ საცოდობაა, რომ რადიო — ეს ეპოქალური გამოგონება, საჭიროებს ჩემს გენიალურ შევსებას, მაგრამ რას იზამ, რახან საჭიროებს, ინებეთ. მე არ დავამადლი კაცობრიობას ჩემს ამაგს.

ძალიან გაუჭირვა საქმე ცალკე მოქალაქეებს რადიოაპარატების რიხრიხმა. ამასწინათ ოპერა „ტრავიატას“ გადმოცემას ვუსმენდით. სმენის დამატკობელი პანგების ნაცვლად, ისეთი ხმაური ისმოდა რადიომიმღებიდან, რომ გვეგონა ლონდონის ბომბარდირებას გადმოსცემდნენ. დავფიქრდი, და გამოვიგონე... გამოვიგონე რაღაც ვირტუოზული რამ. მე გამოვიგონე ისეთი რამ, რაც ადამიანს იხსნის ბომბარდირების მოსმენისაგან. აი რა გამოვიგონე:

სააფთიაქო მაღაზიაში იყიდით გიგროსკოპიულ ბამბას, ორ პატარა ნაჭერს მოსწყვეტთ ამ ბამბიდან, დაასველებთ ულტრა-ღვინისფერ სითხეში და დასდებთ პატარა ლამბაქზე. შემდეგ კიდევ მოსწყვეტთ ბამბის ორ ნაჭერს და მშრალად შეიჭრებთ ორთავე ყურში. „ბომბარდირება“ იმ წუთში შეწყდება და თქვენ სრული საშუალება გაქვთ დასტებთ „ტრავიატას“ საუცხოო სიმფონიის მოგონებით მაინც (თუ კი ოდესმე მოგისმენიათ).

ამის შემდეგ ლამბაქზე დატოვებული ბამბა შეგიძლიათ გადაადგოთ. იგი არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს და ჩვენს მიერ ამ გამოგონებაში შეტანილია როგორც ისეთი დეტალი, რომელიც ყოველთვის შეიძლება, უმეტეწიულად მოვაცილოთ ჩვენს ისედაც მარტივ ტექნიკურ წამოწყებას.

ორიოდე სიტყვა გამოგონების უპირატესობის შესახებ: ყურებში შერკობილი ბამბა შეგიძლიათ გამოიღოთ და გადაადგოთ, როცა გნებავთ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაც, რომელიც თვითონ რადიომსმენელების მიერაა გამოგონებული. ეს არის რადიოს გამოთიშვა, რასაც ხშირად მიმართავენ ხოლმე ფართო მასები.

ჩვენი გამოგონება ამას ხელს არ უშლის.

სხვა საშუალება რადიომიმღებთა უფრო კარგი მუშაობისათვის ჩვენ არ ვიცით. მაგრამ ეს ალბად იცის რადიო კომიტეტმა, უკანასკნელი საიდუმლოდ ინახავს თავის შესაძლებლობას, მაგრამ ჩვენ არავითარი საიდუმლოება მკითხველებთან არ გვაქვს და კიდევ და კიდევ ახალ და ახალ გამოგონებებით გაგამიდრებთ ტექნიკას.


ნახ. გ. ისაევისა



შოქსაროვის გაკვეთილება

— რატომ არ ცეკვავთ?

— სწორედ დღეს გავაკეთებინე ფეხსაცმლის ძირი არტელ „რემობუფში“ და მეშინიან, არ მოსძვრებს.



ახირებული ამბავი შემემთხვა ამ ცოტა ხნის წინათ:

რაღაც ჩემდა საბედნიეროდ, გადაწყვიტე ბათუმიდან ქობულეთამდე გასეირნება. ავდექი დილაადრიან, გაველ სადგურში და ჩავდექი რიგში. რიგში ორმოცამდე კაცია. სჩანს არ გამიჭირდება ბილეთის აღება. წესრიგი იშვიათია. მართალია, ბოლოს მოსულები პირველ რიგში ღებულობენ ბილეთს, მაგრამ ეს ხომ ძველი თქმულებითაც ასე უნდა იყოს. „წინანი უკან — უკანანი წინაო“ ამას ხომ ვერ უღალატებს წესრიგის დამცველი?

მოლარე ქალიც მაღლიანია, სჩანს კარგად სინჯავს გასაცემ ბილეთს, რომ ყალბი ბილეთი არ გასცეს. სჯობია მგზავრი დარჩეს, ვინემ მოლარე დარჩეს დაღალული. ნელი მუშაობით სურთოდ, საქმე არ წახდება, პირიქით...

მიდის. მგზავრები ღელავენ. მატარებელი ძიძგიგობს და საცა დაუსტვენენ კიდევ.

— მომეცით ბაქნის ბილეთი — მიაწყდნენ ახლა ბაქნის სალაროს უბილეთოები. უნდათ როგორმე გავიდნენ ბაქანზე. იქიდან მატარებელში მოხვდებიან და მერე...

ჯარიმას ვინ დაეძებს? ზოგჯერ ათჯერ მეტი შეიძლება კაცმა გადაიხადოს. ანდა ბათუმიდან გასული მატარებელი ყოველ ფეხის გადადგმაზე ჩერდება. იმდენი ბაქნებია და იქ შეიძენს ბილეთს.

სულა ცოდვილო. მეც შევფურიგდი ამ აზრს.

— არ გინდათ პერონის ბილეთი. მიბრძანდით ისე. — აცხადებს ამნისტიას მოლარე.

კარებთან გაჩერებული ქალიც არ კითხულობს ბილეთებს გასვლისას.

ხაფანგია ბიჭებო, ხაფანგი — იძახის ვილაცა და მატარებლისაკენ მიდის.

როგორც კი დაიდრა მატარებელი. გამყოლი იწყებს ბილეთების სინჯვას. წრიალობს ხალხი. აქეთ-იქით აწყდებიან, მაგრამ კარები ჩაკეტულია. ეტყობა ნახევარზე მეტი უბილეთოდ შემოსულა.

— ამხანაგო, მე ბილეთი არ მაქვს, — ვეუბნები გამყოლს და მიკვირს რად იმალებიან ის უბილეთოები, რომლებიც შემოსულან;

— არ გაქვს? — და ისე ჩამხედა თვალებში, თითქოს მზომავს ჩამეტევა ყელში თუ არა, რომ ჩაყლაპოვო. — წამოდი ეხლავე წამოდი მეთქი. თქვენი წამალი ვიცი მე — მეპატივება პატივსაცემად.

— მეც არ მაქვს ამხანაგო ბილეთი. — გამოჩნდა ერთი ჩემსავით სულელი.

— შენც!... აბა წამოდი! — დაავიწყდა თავისი ვაგონი, თავისი მგზავრები, სხვა უბილეთოებიც და დიდი პატივისცემით წაგვიყვანა სადღაც.

ვიარეთ. ბევრი ვიარეთ თუ ცოტი ვიარეთ, როგორც იქნა, პირველ ვაგონიდან უკანასკნელს მივალწიეთ.

აქ მთელი მატარებლის უფროსობა მოგროვილიყო. გაიგეს რა ჩვენი ამბავი ძალიან ესიამოვნათ.

ყველაზე უფრო რევიზორი მ-ძე გაახარა ჩვენმა დანახვამ. კინალამ გადაგვიცნა სიხარულით. მაინც რა ყოფილა ის კაცი. პირდაპირ მასწავლებელია. არა, როგორ ისწავლა

ყველაფერი. მთელი კოდექსები სკოდნია ზეპირად. რამდენი რა მომიყვა. თურმე ნუ იტყვით და მატარებელში რომ ჩავჯდები, ბილეთი უნდა მქონდეს. თუ ვერ მოვასწარი აღება — დავრჩე უნდა. საქმე თუ წახდება წახდეს. ამას გარდა, მატარებელი მამაჩემის ურემი არაა. არც ასე ჩერჩეტი ვარგა მე რომ ვჩერებო და სხვა მრავალი.

ჭკუის სწავლების შემდეგ შემეკითხა რამდენი ვარ. მე უპასუხე, რომ ოთხი კაცი ვიქნებით (ვგულისხმობდი ჩემს ვაგონში შემოსულ უბილეთოებს).

— მაშ ოთხის უნდა გადაიხადო.

— თუ არ მაქვს ამდენი ფული?

— მაშინ ორი წლით ჩავჯდები — მანუგეშებს ის.

— კი მაგრამ სხვა გამოსავალი არაა?

— ჩაიყვანეთ! — ისმის პასუხის ნაცვლად და ვგრძნობ რომ უკვე დაპატიმრებული ვარ.

შეიქნა თათბირი. ჩემი ბედის მოზიარემ გადაიხადა ერთის ჯარიმა. მე კი ოთხის უნდა გადავიხადო. დიდ ოთხის და არა ათის და ოცის. ვინ იცის ოთხი უბილეთო მახლავს, ან მახლავს — კი ვინმე?

მაგრამ რახან ვთქვი, ოთხი ვიქნებით, ისიც დაიჯერა, რასაკვირველია, ჩემი პატივისცემის გამო.

ვივაჭრეთ, ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ მე ხუთი უბილეთოს ნაცვლად გადავიხდი ერთის ჯარიმას.

— კი მაგრამ ბილეთი რომელ სადგურიდან ავიღოთ? — ვეკითხები მე.

— ჯარიმა გადაიხადე და ბილეთის აღება

არ გჭირია. — ამხსნა მან. ხოლო ეს კი არ უთქვამს რომელ კანონის ძალით არის ასე.

— გიშველოს ღმერთმა! — ჩავილაპარაკე მე. თუ ერთი ჯარიმის გადახდით ბილეთის ყიდვა არ დამჭირდება, ამას რაღა სჯობია. მოდი ახლა და ასეთ კაცზე საყვედური სთქვი.

უკან რომ ვბრუნდებოდი უბილეთო მგზავრები მლოცავდნენ. შენი წაყვანის შემდეგ გადავრჩით, ჩვენთვის ბილეთი არავის მოუთხოვიათო.

— შემოგველოთ ჩემი თავი ამხანაგებო, — უთხარი მე. — თუ თქვენ გიხსენით, სხვა რაღა მინდა.

მე სამი სადგურის შემდეგ გადმოვედი, მაგრამ უფრო შორს გამგზავრებულის გადმოცემით, იმ დღეს ბილეთის მოთხოვნით არავინ შეუწყუბნებიათ.

მე ძალიან მაღლობელი ვარ რევიზორ მ-ძის და გამყოლის (გვარი არ ვიცი) რომ კანონები შემასწავლეს, დამარიგეს, მაგრამ ერთი კი დაავიწყდათ და ძალიან კარგი იქნება მოიგონებდნენ.

თურმე ასეთი კანონიც არსებობს: ჯარიმას ახდევინებენ უბილეთოებს ყველას. ითვლიან მათ. ან სინჯავენ. ამას გარდა, ჯარიმა არ ანთავისუფლებს მგზავრს ბილეთის აღებისაგან, ამასთანავე, ერთი უბილეთო მგზავრის აღმოჩენით არ მიატოვებენ ბილეთების გასინჯვის პროცესს.

ამ წესებსაც თუ შეისწავლის ამხ. მ-ძე ძალიან კარგი იქნება.

პ. ობოლი



ქუჩაში

ნახ. გ. თოიძისა

— შეეწიეთ ბრმას, უსინათლოს...
— განა შენ ბრმა ხარ?
— არა, მე მისი მოადგილე ვარ... თვითონ ბრმა მაღაზიაში წავიდა რამეების საყიდლად.



შენიშვნები რედაქციის მიერ შედგენილი

ჩაინა, ლახტი და კბი

„საბლიტგამის“ მიერ გამოცემულ ბესიკის ლექსების წიგნში (რედ. პროფ. ალ. ბარამიძე) ლექსის „სევედის ბაღს შეველ“, ტაქს:

„შენის გონებით იქნები რაზი“...

ასეთი განმარტება აქვს: „რაზა — კარის გადასაცემელი რკინა.“

ჩვენ ვერ ვიტყვი, რომ სიტყვა: „რაზა“ პატივცემულ რედაქტორს სწორად არა აქვს განმარტებული, მით უფრო რომ ამ სიტყვას ასეთ-სავე განმარტებას აძლევს საბა სულხან ორბელიანიც, მაგრამ შენიშვნებიდან გამოდის, თითქოს ზემო მოყვანილ ტაქსის განმარტება ასე

შეიძლება: „შენის გონებით იქნები კარის გადასაცემელი რკინა“ — არა, აქ რაღაც სხვა აზრი უნდა იმალდებოდეს! რაც რედაქტორს, ვერ „აღმოუჩინია“.

მეორე ადგილას „რძალ ღელამთილიანში“ ტაქს:

„ვითა როსტომ ლახტის მქნევი, კეტსა ხმარობს ეგრე ჩქარედ...“ სიტყვას „ლახტის“ ზემოდან ციფრი აქვს დასმული და „შენიშვნაში“ განმარტებულია: ლახტი — „კეტად“, აქედან გამოდის, — ტაქსი ასე უნდა წავიკითხოთ:

„ვითა როსტომ კეტის მქნევი, კეტსა ხმარობს ეგრე ჩქარედ“. აქაც, უნდა ვთქვათ, რომ ცნობილი ჩვენი რედაქტორი ამ შემთხვევაში ვერ ხმარობს კალამს ისე როგორც საჭიროა.

შუშა და მიკიტაშვილი

„სახელგამის“ მიერ გამოცემულ მთარგმნელ კლასისათვის განკუთვნილ, „ქართული ლიტერატურის ქრესტომატიის“ (რედ. ა. მჭედლიძე და ი. სინარულიძე), გ. ერისთავის პიესაში სადაც მიკიტაშვილი „ლათიას“ ეუბნება თავადს და თავის ქალიშვილს აწონებს:

„... ტანი წვრილი, იშვანის ყალამი, ვინცა ნახამ ყველამ უთხრამს სალამი. ყელი თლილი, რუსეთული შუშანი... უნდა ნახო, კნიაზ, ჩემი შუშანი!“

ცხადია პატივცემული მიკიტაშვილი აქ მხოლოდ თავის ქალიშვილის გარეგან სილამაზეს ეხება, და როცა ამბობს:

„ყელი თლილი, რუსეთული შუშანი...“

მას უნდა თქვას, ჩემს ქალიშვილს ბზროლის ყელი აქვს, მაგრამ რედაქტორები უფრო ღრმად იჭრებიან სოციალურ არეში და თავიანთ შენიშვნაში ასეთ განმარტებას იძლევიან: „რუსეთული შუშანი“, — „რუსულად აღზრდილი შუშანი“.

აქ ამკარა საქმე წაუხდენია რედაქტორთა ისტორიული ფონის შესწავლით „გადატვირთვას“.

82—50

* თუ ვინმეს შეუძლია თავისთავზე გაიმეოროს ჩვენი საამაყო მგონის აკაცის სიტყვები: „გულში არ შევუშვებ შურს და მით ბედნიერი ვარ“ — „ნიანგსაც“ აქვს ამის უფლება.

ეს გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოს ყველამ, ვინც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე მოხვდება და არ იფიქროს, რომ ჩვენ მისდამი პირადი ანტიპათია გვახმობრავებს: აქედან გამოდინარეს, თუ ჩვენგან რაიმე ეწყინება, უნდა შეგნებულად სთქვას: „ახია ჩემზედ“.

რაც შეეხება, კერძოდ, განყოფილებას „სერიოზული — კურიოზული“, მისი შედგენის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობთ, უმთავრესად, ცნობილი ანდაზით: „ვინც მიყვარს იმას, ხანდახან, წავუთაქვბო“. თორემ ეჭვი არავის უნდა შეეპაროს, რომ ჩვენი სრული სიყვარულით, ნდობით და პატივიცემით ხარგებლობენ ისეთი სიმპატიური დაწესებულებანი, როგორც არიან: „სახელგამი“, „საბლიტგამი“, „ფედერაცია“ და სხვ. ამ შემთხვევაში, ის რედაქტორებიც, რომელთაც ჩვენ, მეგობრულად, მხოლოდ გამოსაფინიზლებლად, აქვე ვაკადრებთ წაიპურტებს.

ნ ი ა ნ გ ი



გამოყრა

ნახ. ან. კანდელაკისა

რევიზორი (მგზავრ ქალს) — გადაიხადეთ ჯარიმა, თქვენი შვილი მოზრდილია და აქვენ კი საბავშვო ბილეთი შეგიძენიათ.

მგზავრი ძალი — ეს არის სამართალი? თქვენმეტი წელიწადია რაც ჩემი ბიჭუნა სულ საბავშვო ბილეთით დამყავს და რაღა დღეს დასჭირდა მთელი ბილეთი?

სახლმმართველი კარახანი

ტურგენევის ქ. № 7 (თბილისი) სახლმმართველი კარახანი ბინის შეკეთებას წლობით აგრძელებს.

თვე თვეს მისდევს, წლები წლებსა დროც გავიდა კარგა ხანი, ბინის „რემონტს“ ჯერ არ იწყებს სახლმმართველი კარახანი.

მდგმურებს ურჩევს აიტანონ თოვლი, ქარი, წვიმა ხშირი, — ვიდრე თავის ფეხით მოვა მასალები, ხე-ტყე, კირი,

ამ ხრიკებით სახლმმართველი ფულის ხარჯვის რეჟიმს იცავს, მასალები „ვერ იშოვნა“, რაისაბჭოს, ფინგანს ფიცავს.

და როდესაც ამ მასალას თითონ იძენს სახლის მდგმური, ჭერში მოდის წვიმა, თოვლი, ოთახია დასახური,

მაშინ ჩვენი სახლმმართველი მდგმურს მხურავად აძლევს მუშებს, მაგრამ დახეთ სახურავი კვლავ თოვლსა და წვიმას უშვებს.

ამის შემდეგ კარახანი რაისაბჭოს პატაკს აძლევს, ბინა ისე დაეხურე, რომ ას წელიწადს მაინც გაძლებს.


ლალო

ტექსტი კუკურისა


ნახ. 8
საბჭოთა
ქრონიკა




1. სერაფიონ ვერგავთბიშვილი შეშის ორღერით თბილსათბობის შეშის საწყობს მიადგა: — ბოდიში მაგრამ ორ მეტრს ათი ღერის მეტი არ აკლია, — უთხრა საწყობის გამგემ და განკარგულება გასცა მანქანაზე შეშა დაეწყო.




2. — თითო მეტრის დაწყოლებას თითო თუმანს გიანგარიშებთ, თუ სამ—სამ ღერ შეშას გვისაჩუქრებთ, — უთხრეს შეშის მტვინთავეებმა სერაფიონს და ექვსი ღერი შეშა თავისთვის გადასდეს.




3. სერაფიონის შეშით „დატვირთულ“ მანქანას დიდუბელმა ბიჭებმა „კონტროლი“ გაუწიეს და ათი ღერი შეშა „დაამატეს“.




4. — არიქა, მამამ შეშა მოიტანა, მეზობლებო, შეზიდვაზე მოგვეხმარეთ, — დაიძახა სერაფიონის ბიჭმა და მანქანის ხმაურზე მთელი ოჯახი და მეზობლები ჭიშკართან შეიკრიბნენ.



5. — მაგის წაღებას არც კი ვიკადრებ, ეგ ჩემი წილი შენთვის მიჩუქებია, — უთხრა გულმოსულმა შოფერმა სერაფიონს და ოთხი ღერი შეშა ძირს გადმოაგდო...



6. — აქ დასახერხი აღარაფერია, იმოდენა გზა გამოვიარე, ხელცარიელი ხომ ვერ წავალ? ორ ღერ შეშას წავიღებ და იოლად გადაგარჩენ, — უთხრა მხერხავმა სერაფიონს და გადარჩენილი ორი ღერი შეშა მიუგდო პატრონს...



ტილი რასნაქს

— რად გაქვთ ჩვეულებად, ამხ. გამგე, რომ მალაზიაში უქველად რიგი უნდა გამართოთ?..
— ვის სწამებთ ცილს, ეს რიგია? კარგად შეხედვით ერთი, ეს რიგია!

მიტვადებულის თავგარასკვლი

(მიხაპაპა პაპაძის)

— ვაი დედიჩემის ღმერთსა!.. — წარმოვ-
სთქვი სინანულით და გარდავიცვალე. რა
ცხოვრებასა და სიცოცხლეს ვტოვებდი! ატყდა
ერთი ღრიალ — ტრიალი. ჩემს ოთახს ბევრი
ცნობისმოყვარე მოაწყდა: მოდი ერთი ვნახოთ
სიკვდილში თუ ცოტა ლაზათი მინც მიეცაო.

იმავე ღამეს შემომეხვივნენ და ტანისამოსი
გამომიცვალეს; ერთი სიტყვით, საბანაშიდოდ
განმამზადეს.

ერთმა გულშემატკივარმა, თურმე, ერთერთი
გაზეთის რედაქციას მიაკითხა, სამგლოვიარო
განცხადების გამოქვეყნებისათვის — ამხანაგო,
მიიღეთ განცხადება...

— ადგილი არ არის! — იყო პასუხი, და
ადმინისტრაციული ჩანველება.

— ის კაცი იუმორისტი იყო, პატივი უნდა
დაეცოდა, — გამბერა მან.

— ეს გაზეთი სერიოზულია, აქ მასხარებს
ადგილი არა აქვს. ჩემთვის კეთილისმსურველ-
მა გაიგო მისი თავის წონა და მოშორდა...
და საქმე პროტექტორის მეშვეობით მოაგვარა
თურმე... დამინიშნეს პანაშვიდი, გაივსო ოთა-
ხი და აივანი ფერადფერადი ადამიანებით, იქ-
ვე, ჩემს ყურთან ასეთი საუბარი გაიმართა ორ
მანდილოსანს შორის:

- ქა, რითი მოკვდა?
- გული გაუსკდა!
- უი, საცოდავი! ქალოჯან, უყვარდა ვინმე?
- არა, ჯავრისაგან.
- რა აჯავრებდა? ერთი ესეც მითხარ,
გეთაყვა.

— სიკვდილის შემდეგ ვინც იცის რა არ
დამემართებაო.

— ჰოოო, საწყალი, სულელიცა ყოფილა.
შენი ჭირი წაუღია. ჩემი მეგობრები ჩემი მშო-
ბლების შესახედავად მწუხარე გამომეტყველე-
ბას იღებდნენ, ხოლო გარეთ, მოსულ ქალი-
შვილებს ღიმილმორევით სიყვარულზე ებაახე-
ბოდნენ. ახლო ნათესავები ცალკე შეგროვი-
ლიყვნენ და პრაქტიკულ საკითხებს იხილავდ-

ნენ. რამდენადაც მიეხვდი, ჩემს შესახებ კამა-
თობდნენ, მაგრამ მე თვითონ კი აღარცერთს
ვახსოვდი.

— კაცო, რამდენი დახარჯე? — ეკითხე-
ბა ერთი მეორეს.

— რვაასი მანეთი!

— აფერუმ, ღირდა მაგდენად? — წარმო-
სთქვა სინანულით მან, ვინც სიცოცხლეში
ყველაზე მეტად მიყვარდა და მეგონა მასაც
ასე ფუყვარდი.

— მაშ ხურდა აღარ დაგრჩა ყინულისათვის?

— რის ხურდა, რა ხურდა?! ჩემი ჯიბიდან
დავამატე პირიქით.

— განა ასეთ საქმეშიც ფულებს ახალტუ-
რებენ? შეეკითხა ერთი. პასუხს ვაცხარებაც
მოჰყვა, მაგრამ სევდიანმა „თავო ჩემომ“ ჩაა-
გონა მათ დამშვიდება. ჩამოლამდა. თავთან
სანთლები ამინთეს. უნივერსიტეტელმა ამხანა-
გმა ბრაზმორევითა სთქვა:

— ეგ კაცი პატიოსანი კომკავშირელი იყო,
სანთლები როგორ ეკადრება, ჩააქრეთ ჩქარა!

— ვა, დალოცვილო, მაშ მოდი და შენ
გაანათე! — უთხრეს მას, იგი მიხვდა რაშიც
იყო საქმე (ელექტროდენის გაყვანილობა მო-
შლილიყო თურმე), წინდაუხედავობა გულში
ინანა და დაღუძდა.

ძვირფასებო, ბარემ ჩემი ვასვენების ამბა-
ვსაც მოგახსენებთ. დაახლოვებით ეს ასე მოხდა;
ორშაბათ დღეს. 1 საათზე გამიტანეს ოთა-
ხიდან ვაკის სასაფლაოზე წასასვენებლად.
გამიტანეს და შუა ქუჩაში დამდეს. სასულე
ორკესტრი ჯერ არ მოსულიყო, „ხალტურაზე
იქნებიანო“ ასე სთქვეს. როგორც იყო, სათი-
თაოდ მოლაგდნენ ის ბულბულები.

დამძრეს და დაიძრნენ. მივქონდით და თან
მომდეგდა სევდიანი კვითინი მუსიკისა.

ჩემი გატრეხა რუსთაველის პროსპექტზე
მილიციონერს აუკრძალავს. საბარგო დროგი-
ვით აღმა-დაღმა მატარეს და, როგორც იყო,
ვერაზე გამათრიეს.

ყური დამიგდეთ და გეტყვით იმას, რაც
ბევრს უნახავს და არავის უთქვამს:

ვაკეში გასასვლელთან, ვერის ბაზართან
ქუჩა რომ შტოვდება, ტრამვაის ელექტრომა-
ვთული გაწყვეტილიყო. იქვე ავტომანქანა ავტო-
მანქანაზე წამოსკუპულიყო და მთელი ტრან-
სპორტის მოძრაობა შეჩერებულიყო. ისედაც
ვიწრო ქუჩა გავსებულყო ავტომანქანების,
ტრამვაების, ეტლების, ლინეიკების, დროგების,
წყნეთელ მემაწვნეთა უღარდელი ვირების მა-
სით. ადამიანები მათ შორის მწერებივით
დაბზოდნენ. ჩემი შეტანა ამ ქაოსში ჩემს გა-
წირვასა ნიშნავდა. გამოჩნდა რამდენიმე თავ-
დადებული, ამწიეს და შემადგეს ამ ჯოჯოხე-
თურ ორომტრიალში.

ბზრიალასავით მატრიალებდნენ; სითაც
თავი უნდა მქონოდა, იქით ფეხები მომიქციეს
და ასე უკუღმართად, ლელოს ბურთივით, გა-
მიტანეს ბოლოში, ისე დავიყევე, რომ კინა-
ლამ მეორედ გარდავიცვალე. ამ დავიდარაბა-
ში რამოდენიმე გვირგვინი ცამ ჩაყლაპა. აღ-
ბად, რამოდენიმე საათის შემდეგ, დაკვირვე-
ბული თვალი სხვა მიცვალებულის პროცესია-
ში აღმოაჩენდა მათ.

როცა სახლიდან გამომიტანეს, საამური ამი-
ნდი იდგა, მაგრამ იმდენი მატარეს, რომ ამინ-
დმა პირი იცვალა. ის — ის იყო სასაფლაოს
ფუახლოვდებოლით, რომ ცამ ქუჩილი დაიწყო.
ჯერ მცირედ წამოწვიმა, შემდეგ კი ისეთი
მრისხანე ხოშკაკალა დააყარა, რომ (სხვათა-
შორის, ის დიდი სეტყვა, რომელმაც მსხვერ-
პლი მოიტანა, სულ ახლო ხნის ამბავი იყო და
ხალხი საკმაოდ დაშინებულიყო) ყველა შემო-
მეცალა, უხშირა სეტყვამ. ვინც მატარებდა იმა-
თაც იკადრეს ჩემი ძირს დაგდება და ზარდა-
ცემულნი დაიფანტნენ. დავრჩი მარტოღმარ-
ტო სახურავ — ახილი კუბოში. უფრო უხ-
შირა სეტყვამ, და ახლა კი ვეღარც მე გავუ-
ძელი, წამოვბტი და მოუსვი.

კაკო. კაცაქი



ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება. ასე მოუვიდა ჩემს მშვენიერ ტუფლებსაც. ისინი მას ჟამსა შინა არტელში შემიკერეს.

მაგრამ კარგ ფეხსაცმელსაც ხომ დასასრული აქვს და ჩემმა ტუფლებმაც ერთ დღეს ფაქტებით მაგრძობინეს, რომ მათი დასასრული უკვე დადგა.

როგორც ასეთი შემთხვევებში ხდება, დაუყოვნებლივ მივაშურე არტელ „რემობუფს“, სადაც დიდი ხვეწნის შემდეგ თავაზიანად მიმიღეს და სულ რაღაც ხუთ კვირაში კაპიტალურად შემირემონტეს ჩემი მრავალტანჯული ტუფლები.

ძველები ისევ სარემონტოდ დაუტოვე და ახალშერემონტებული ტუფლები ჩავიცვი.

შიგ ტრამვაიში აუარებელი მგზავრი იყო, რამდენიმე ფეხზე ფეხიც დამაღდა, ზოგმა შეუგნებლად, ზოგმა ალბათ შეგნებულადაც. ფაქტი ისაა, რომ ამ ოპერაციების შედეგად ტუფლებმა საგრძობი ზიანი განიცადეს. ამაში დავრწმუნდი ვაგონიდან გადმოსვლისას, როცა ფილაქანზე ვივრძინე, რომ მარცხენა ტუფლის ლანჩა ვაგონშივე დაეტოვებინათ...

დამარბულმა არტელ „რეკორდისაკენ“ გავსწიე ახალი ფეხსაცმელის შესაძენად. იქ ამიხსენეს, რომ ფეხსაცმელებს მხოლოდ ბითუმად ჰყიდიან და ცალკეული მოქალაქისათვის არა სცალიათ.

ისევ ტრამვაის მივმართე, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო საფეხურზე დავრჩი ჩამოკონწილვებული. როგორც მოძრაობის წესების უხეშად დამრღვევს, სამი მანეთი გადამანდევინეს ზედ მუხრანის ხიდთან.

იმავე მილიციელმა, რომელმაც ჯარიმა გამომართვა, ამიხსნა, რომ ფეხსაცმელს ვიშოვი არტელ „სწორ გზაში“.

სწორი გზა! არტელი სწორი გზა! თვითონ სახელი გზიბლავს, მოვიწოდებს და გეძახის: მოდი სწორი გზით, ნახე სწორი გზა და ასეთი სწორი გზით სწორედ იშოვი ფეხსაცმელსო.

აქაც არ გამიმართლა: არტელ „სწორ გზაში“ მითხრეს, რომ ვადატვირთული არიან დაკვეთებით და უმჯობესია არტელ „ქეჩას“ მივმართო.

კარგი, ბატონო, იყოს არტელი „ქეჩა!“ მაგრამ ნახევარი თბილისი მოვიარე და არტელი „ქეჩა“ ვერ ვიპოვე (ქალაქგარეთ თუ წავიდა სასეირნოთ!). შემდეგ სამისამართო მაგიდას მივაკითხე, არტელის გამგეობის თავმჯდომარის გრიშა ჭალაკანიძის მისამართი მოვიკითხე, მაგრამ მამის სახელის უცოდინარობის გამო იქაც უარი მტკიცეს.

მივმართე უკანასკნელ იმედს — არტელ „ტყავის ნაწარმს“, რომლის ხელმძღვანელმა ვალიკო გეგენავამ ალტაცებით მიმიღო და როგორც კი ლანჩა-მოვარდნილი ტუფლი დამინახა, გულში ჩამიკრა, მანუგეშა და ქალის ტუფლები შემომთავაზა.

ქალის კოპწია ტუფლები მე — ახმახ ვაეკაცს, რომელსაც ორმოცდასამ ნომერზე ნაკლებ ფეხსაცმელში „ჭოჭი“ არ მეტყევა!

გულაჩუყებით გამოვფხოვე და საღამოს სახლში გამოვცხადდი.


— არცკი გრცხვენია? — მომძახა ჩემმა მეუღლემ, რას გეცხარ?

— რა მოხდა აღამიანო?

— ჯიბეები გადმოგიბრუნებია და ისე დაღიხარ ქალაქში!

მართლაც, დავხედე და — გადმობრუნებული იყო ორივე ჯიბე. ერთ მათგანში დილით იდო ჩემთვის დაუვიწყარი თორმეტი თუმანი, განკუთვნილი რომელიმე არტელში ახალი ტუფლების საყიდლად...

პ. მსტოფლი.



— შეხედე — იმ პატარა ქანდაკებას, ათასი მანეთი ღირებულა! სულ ხუთი კილოც არ იქნება.
— ეჰ, საქმე რომ წონაზე იყოს, შენ მაშინ, ჩემო სეფორე, ამ ხანებში მცხეთაში აღმოჩენილ პიტაისის ქალის სერაფიტას სამკაულებზე მეტი ეღირებოდი, მაგრამ...

პაკიეჩის ძიება



— თუ კაცს კარიერის გაკეთება გინდა, თავი უნდა გქონდეს, თავი!
— თავში რომ რაიმე გქონდეს, ვგონებ, არც ისაა ცული.

საპარეყოფი



მეიმი — როგორ შეგიძლიათ ასე დამშვიდებით იკითხოთ წიგნი, როცა ავადმყოფი გულშემზარავად კენების და გეძახის?
მომვლილი — მე მათი ხმაურობა სრულიად არ მიშლის ხელს.

სოფლმალაზის გამგეს ჩვენს თმახუტუტა სეგვიკონელი უნდა გაეარშიყო, გიგლიოთეკა თუ გინდა—რამე გერგოს



— არიკა, მილიციელს დაუძახეთ, ტელეფონის ხულაში საშინელი მოჩვენება შეპარულა.

ჩვენს სადგურში მოლარეთ გოგო არის ლამაზი, ხურდას ისე არ მოგცემს არ დაგაკლოს აბაზი.

სამკითხველო ვაგვისხნეს, გამგეთა გვყავს ლილია, მაგრამ შიგნით ვერ შეხვალ მუდამ დაკეტილია.

კლუბს გვიშენებს სოფლსაბჭო— ეს შესამე წელია, — საძირკველი ჩაფსკენა და თანხა გამოიღია.

ჩვენი ფოსტალიონის ამბავს ვერვინ ვაიგებს: მთელი ზამთრის წერილებს გაზაფხულზე არიგებს.

ჩვენ რადიო მოგვიწყვეს, აღმასკომთან, გზის პირად, მაგრამ ერთი სენი სჭირს: ხმა უწყდება ხშირ-ხშირად,

თუ ამ ამბებს არავინ არ ათხოვა ყურია, — ყველა დამეთანხმება, ძლიერ უხერხულია.


მალალ-მალალი

უბრალო ჭიშკარიგებანი

ყველა ის, ვინც გაშლილ სუფრასთან, თავისთავს თვლის უებრო ორატორად, არ გა- მოდგება რაციონალიზატორად.

არ შეიძლება კოოპერატივის გამგე ვლან- დლოთ იმიტომ, რომ ის არის მსუქანი; სულ სხვა საქმეა, თუ მას, კოოპერატივი ჰგონია თავისი კერძო ღუქანი.


ჩვენში ისეთი ბევრია: ფიქრობს რომ რუსთაველია. ეპოტინება ვარსკვლავებს, ჰლამობს შეახოს ხელია, მაგრამ თავს, ზევით ტყვილად სწევს, ვით ფშუტე, ცრუ თაველია.



— ტყუილად ავფორიაქებულვართ. თურმე ლამაზი თავის ჩრდი- ლი ყოფილა.


სეფედავლი

ნახ. ღონისა



— რა ამბავია, რომ ყოველ დილას ტელეფონით ლაპარაკობ?
— რის ლაპარაკი! — ორშაურობებს ვაგროვებ.

ნაქრობიდან



— რა ჰქენი, მოკალი რამე?
— მოვკალი და მერე რა მოვკალი?
— დათვი? ვეფხი?
— არა... ჩემი საკუთარი მეძებარი...

პირველი აბონენტი (მორიგეს) ვთხოვთ მიიღოთ შეკვეთა თბილისის გამოძახებაზე.

მორიგე — მე კი მივიღებ, მარა დელიაპარაკებს რა მოვასწავნო. — მარა იცოდე სასწრაფო იქნება და ექვს შაურს გადაიხდი. მერე არ დამიწყო ლაპარაკი.

პირველი აბონენტი — როგორ! დილით ვიყავი არ დამალაპარაკეთ. სალამოს ხუთის ნახევარზე მოდიო — მოვედი და კიდევ ვერ უნდა დავილაპარაკო? რა უბედურება გჭირთ?

მორიგე — უბედურება მე კი არა, საქალაქო სადგურს სჭირს, უნდ ჩემო ძმაო, დილიდან ელოდები და გიკვირს? ეგერ რო კაცი დგას ამას წინათ რომ მორიგე ვიყავი, მაშინდელი შეკვეთა შექვს მისი და დღესაც დელიაპარაკებს თუ არა, საექვოა, რადგან შეკვეთებს უშუალოდ საქალაქო სადგური იღებს და სანამ იმათ არ დააკმაყოფილებს, მანამდე უნდა ველოდით. აბა რაა გგონიათ? იგი კედელზე რომ მიწებებული, თბილისიდან ლაპარაკის სერილია იგი კმარა მართო? (იღებს ტელეფონს, რეკავს) ბოშო! ცხენე! ერთი თამარა დამალაპარაკე. მაგი მომიკვდა, რომ სულ ყურადღებას არ მაქცევს. თამარა ხართ? თამარა, ბოშო, გამეიხედე ერთი აქეთ, თბილისიდან ერთი კაცი დამალაპარაკე, თუ არ დამახჩენ პირდაპირ.

მეორე აბ. — ერთი ტყიბული გამოძახებთ მალაკელიძის ბინა, შახტი.
მორიგე — გოგო! ჩეიწერე ტყიბული. ახალი შახტი — მალაკელიძის ბინა იარლიკი სოროკავი — ტრეტი.

მესამე აბ. — ერთი ონი გამოძახებთ — რაიკავშირი.
მეოთხე აბ. — მიიღეთ სასწრაფო შეკვეთა თბილისზე (№ ნაწ. წარ-ლი). 3-56-45.

მეხუთე აბ. — მიიღეთ ჩემი სასწრაფო თბილისზე 3-54-17 (მოქალაქე №).

მეექვსე აბ. — ერთი სამტრედია გამოძახებთ — პოლიკლინიკა.
მეშვიდე აბ. — ძალიან მეჩქარება, — წყალტუბო მინდა სასტუმრო.
მერვე აბ. — ზესტაფონი კომკავშირის კომიტეტი მინდა.
(მორიგე მაშო ვადასცემს ტელეფონით საქალაქოს ყველა შეკვეთებს იარლიკებით დათარიღებულს).

მორიგე — (რეკავს) გოგო თამარა! ჩემი დავალებით მოსულია მოსკოვი — გალგულაშვილი. რაიო? დეიცადოს? დეიცადე გენაცვალე. როგორ მეცოდება ეს ქალი, მეოთხეჯერაა დავალებას აძლევს, ყოველთვის იხდის სამ-სამ მანეთს და ვერასოდეს ვერ დელიაპარაკა, ალბად დღესაც არაფერი გამოვა.

პირველი აბ. — (მორიგეს) — მოაგონეთ საქალაქოს, რომ თბილისთან ლაპარაკის დრო უკვე გადის, აქედან არავის ულაპარაკნია, როგორ შეიძლება ასე უპასუხისმკებლოდ მუშაობა.

მეოთხე აბ. (ნახულობს საათს) თუ ხუთ წუთში ვერ დამალაპარაკებთ, უდროობის გამო შემდეგ საჭირო არ იქნება (მიდის).

(აბონენტთა რიცხვი თანდათან მატულობს სატელეფონო სადგურში. მოითხოვენ საჩივრის წიგნს, მორიგე მაშო, — ყდადაფლეთილ დამტვერულ 1939 წ. საჩივრის წიგნს აწვდის აბონენტებს, სადაც გასინჯვისას აღმოჩნდება, რომ 1940 წ. 31 მარტიდან არცერთ საჩივარზე პასუხი არ არის გაცემული. მანამდე კი საჩივრებზე პასუხი გაცემულია, სულ მორიგე ტექნიკოსის, ან სხვა, რიგითი თანამშრომელის მიერ. რადგან ქუთაისის ფოსტა-ტელეგრაფის უკროსს ჭეიშვილს ვერ მოუცლია მოქალაქეთა სამართლიან შენიშვნებზე პასუხის გასაცემად და ზომების მისაღებად.)


(გაცემულ პასუხებში, როგორც წესი, გამტყუნებულია ყველა მომჩივანი და გამართლებულია სატელეფონო სადგურის მუშაკების მოქმედება. მორიგე მაშო უყურებს აბონენტთა ნერვიულობას და მიმართავს):

მორიგე — არაფერი ჩასწროთ მაქანა ისეთი, რომე საწყენი იყოს, თვარა სულერთია, არაფერი გამოვა.

(ისმის ტელეფონის რეკვა) ხო, ხო. გოგო თამარა 3-56-45-მა თუ ახლა არ მალაპარაკეთ თბილისთან მეტი დრო არ მაქვს და ქე წვევიდა, რაო! კი უქნია რო წვევიდა?... (იცინის) ხო, ხო. გისმენ (აცხადებს).

— სიმტრედია — პოლიკლინიკა ვანმა დეიკავა.
— ონი — დაზიანებულია.
— ტყიბული — მალაკელიძის ბინა არ ლაპარაკობს.
— 3-54 17 არ მოესწრო (20 წუთი კიდევ იყო დარჩენილი ლაპარაკის)

— თბილისის ხაზი რედაქციამ დეიკავა.
— გალგულაშვილო თქვენი აბონენტი მოსკოვში არ მოსულა.
— წყალტუბო სასტუმრო არ პასუხობს.
— ზესტაფონი კომკავშირის კომიტეტი დაკავებულია.
(მცირე პაუზის შემდეგ, სარკეში იყურება, თმებს ისწორებს, ჩანთას კეცავს და აბონენტებს მიმართავს).
— აბა, ახლა გეისეირნეთ სახლებისაკენ, ჩვენი მუშაობა გათავდა. (მუშაობა, მართლაც თავდება).



გულისყურის დახარისხება

არსებობს რებუსის შედგენის ფორმა: ვსტქვათ, გინდათ წარმოადგინოთ რაიმე ფრაზა, საგანი, ან ცხოველი. ამისათვის იღებთ წინადადებების, საგნების ნაწილებს ნახატებით, მათ ჩაურთავთ ასოებს, გრამატიკულ ნიშნებს და დასახული ობიექტები მზად არის. ამის შემდეგ გამოძიებთ უნდა ეცადოს და ახსნას იგი.

ეს საქმად რთული კომბინაციის საშუალებით გამოხატული გონებრივი ვარჯიშია... ბავშვებისათვის. ზოგჯერ დიდებისათვისაც.

ასევე ითქმის შარადის შესახებაც.

მაგრამ არსებობს უმარტივესი გრამატიკა, ნათელი ფრაზები, აზრის გამოხატვის იოლი საშუალებანი.

კიდევ არსებობს ერთი რამ: მას გულისყური ეწოდება. გულის — ყური — ეს იმ ადამიანების საგაღმებულო თვისებაა, რომელთაც რაიმე საქმის შესრულება ევალებათ, — რა თქმა უნდა, სერიოზული საქმისაც. ჩვეულებრივ კი ეს თვისება ყველა წესიერ ადამიანს მოეთხოვება.

მაგრამ ეს იყო დღემდე.

ახლა კი — ასე აღარ არის: ამ დებულებაში კორექტივი შეუტანიათ. უფრო სწორად დაუხარისხებიათ ეს დებულება.

ამრიგად, ჩვენ ახლა უკვე გვაქვს:

- ა) გულისყური პირველი ხარისხის,
- ბ) გულისყური მეორე ხარისხის,
- გ) გულისყური საერთოდ.

კაცმა რომ სთქვას. უტილიზატორული თვალსაზრისით ეს გასაგებია არის. თუ კი სხვადასხვა საქონლის ასორტიმენტი არსებობს, რატომ არ უნდა არსებობდეს გულისყურის ასორტიმენტი?

ახლა გამოსაკვლევი ისდა რჩება, თუ ვინ გაამდიდრა ჩვენი ტერმინოლოგია ამ ახალი ფილოლოგიური ტერმინებით.

ორიოდე საბუთის მიხედვით ჩვენ შევეცადეთ მიგვეგნო ავტორებისათვის.

ეს საბუთები მოგვყავს აქვე:

უნივერსალის გრამატიკა

ჩვენის წარმოდგენით, ერთ დღეს უნივერსალის მესვეურებს შორის გამართულა ასეთი საქმიანი მასალათი:

- ახლა ამ საქონელს რომ ვყიდით, შეხვევა არ უნდა?
- საიდან იცი, რომ შეხვევა უნდა?
- მყიდველები სულ მაგაზე საყვედურობენ — და არ მეცოდინება?
- თუ საყვედურობენ, შევაზვიოთ.
- რაში შევაზვიოთ?
- ქალაქში...
- უბრალო ქალაქში?
- უბრალოში რათა, — ავიღოთ კაი ქალაქი, ზედ კონტად წავაწეროთ უნივერსალის ფირმა, მისამართი და შევუზვიოთ.
- ხელით წაწერილი რომ კონტა არ იქნება?
- ხელით რათა? ავიღოთ და დავაბეჭდოთ სტამბაში.
- სტამბაში? ო, ეგ ჩინებულია, ოღონდ რომელი ხარისხის გულისყურით გავაკეთოთ ეგ საქმე?
- რომელი?, ჩემის აზრით მეორე ხარისხის გულისყური სრულიად საკმარისი იქნება.
- არის მეორე ხარისხის გულისყური.

თქმა და გაკეთება ერთი იყო. ახლა უნივერსალში ნაყიდი საქონელი იხვევა მშვენიერ ქალაქში, რომელსაც ამშვენებს ასეთი წარწერა:

1936-1937

თბილისი საკლავიწო სანიმუშო-საწარმო-საწარმო-სანიმუშო-სანიმუშო

„თბილისის საკლავიწო სანიმუშო-საწარმო-სანიმუშო“

თბილისი, ვოროსიძის ქ. № 7

„საჩემოწიფო“...

„საწვენივლები“...

— რა არის, რებუსი? — კითხულობს მომხმარებელი.

— არავითარი რებუსი, — ეს უნივერსალის მუშაების მიერ რეკონსტრუირებული გრამატიკა გახლავთ.

შეიძლება სხვა შეკითხვაც ჰქონდეს მკითხველს. ამიტომ უფრო მარტივად განვმარტავთ: ჩვენის ღრმა რწმენით, ეს გრამატიკა შეუდგენიათ უნივერსალელებს სიმღერა: „საჩემოწიფო“ შესრულების დროს, როცა ისინი წვეს მიერთებდნენ თურმე.

— კი მაგრამ ეს ხომ აღმაშფოთებელია? — შეიძლება იკითხონ.

ჩვენ არ გვჯერა, რადგან ეს რომ ასე ყოფილიყო, ვინმე მართლაც აღშფოთდებოდა და ავტორებს წუწინათვის პასუხსაც მოსთხოვდა.

მაგრამ აბა ვინ მოსთხოვა მათ პასუხი?

დიდი ხელოვანის მოხერხება

ზოგიერთ საბაბს ჩვენ იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ გულისყურის დამასორტიმენტებელ ავტორებს თავისი ღვაწლმოსილების წვლილი სახელგამის მუშაობაშიც შეუტანიათ.

თუნდაც ერთი მაგალითი:

სახელმწიფო გამოცემლობის მიერ 1940 წლისათვის გამოცემულ კედლის კალენდრის 24 დეკემბრის ფურცელზე მოთავსებულია ამ თარიღთან დაკავშირებული ღირსშესანიშნავი ამბები. მათ შორის უზუსტესი ასტრონომიული ცნობებიც კი იმის შესახებ, რომ:

„მზე ამოდის 7 ს. 0 წ.“

„მზე ჩადის 16 ს. 34 წ.“

თქვენ წარმოადგინეთ, იმავე რიცხვში, დღის სიდიდე თურმე 9 საათსა და 34 წუთს უდრიდა, ხოლო მთვარე 25 დღისა ყოფილა.

ყველა ამის შემდეგ, აღნიშნული ფურცლის ბოლოში მოთავსებულია ცნობა ჩვენი გენიოსი მსახიობის ლადო მესხიშვილის გარდაცვალების შესახებ.

ამ ცნობას სრული სიანლე შეაქვს დიდი არტისტის ბიოგრაფიაში: მაგალითად, 1940 წლის 24 ნოემბრამდე ჩვენ ვიცოდით, რომ:

ლადო მესხიშვილის ნამდვილი სახელგამი იყო — ვლადიმერ სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილი. ვიცოდით ისიც, რომ იგი დაიბადა 1857 წელს, ხოლო გარდაიცვალა 1920 წელს.

ეს სრული გაუგებრობა ყოფილა. ლადოს ნამდვილ ბიოგრაფიულ ცნობებს გვაძლევს ეს უზუსტესი ორი სტრიქონი. აქედან ირკვევა, რომ:

1) ლადო მესხიშვილი ყოფილა არა სარდიონის, არამედ ალექსის-ძე,

2) რომ იგი გარდაიცვალა არა 1920, არამედ 1820 წელს.

ოღონდაც, დიდი მოხერხებაა კაცი ჯერ გარდაიცვალოს, ამის შემდეგ 43 წელი გავიდეს, მერე დაიბადოს, უკვდავი სახელი დაიმკვიდროს და შემდეგ კვლავ გარდაიცვალოს.

მაგრამ დიდ ხელოვანს რა გაუძნელდება?

— ეგ რალაც აღმაშფოთებელი ცნობებიაო, — შეიძლება სთქვას ვინმე.

მართლაც? ეს თუ ასეა, რატომ არავინ აღშფოთდა ამის გამო?

ომახიძე

ღვას ზავით, ხვად ქვევით


რკინიგზის სამმართველოში (თბილისი) წითელი ჯვრის საგზაო კომიტეტმა 6 თვეში ოთხი ბინა გამოიკვალა.

კედლის გაზეთიდან



წითელი ჯვრის კომიტეტი, საქმეებში გართული, სულ მოიარა შენობის იმან სამივე სართული, დღეს მალა აიყვანებენ, ხვალ ისე უკან ბრუნდება,

საქმის კეთების მაგიერ მხოლოდ სიარულს უნდება. ასეთი მოგზაურობა სახარბიელო როდია, ზამთარს სად გვატარებინებ გვითხარი ძია ნოდია!



ბოზბარჩიების შეხვედრა

(ლონდონის მოტივები)

— მილორდი ძლიერ სწუხს, მაგრამ არ შეუძლია შემოვიშვათ, თქვენ ხომ სადამოს ტანისამოსი არ გაცვიათ.



(ჭუთაინი)

მყუდრო კუთხეში ძმაბიჭები მაგიდას მი-
სხდომიან და ხალისით შეექცევიან საუცხოო
პურ-მარტლს. ყველაფერში სჩანს, რომ ქეიფის
ხარჯს გადაიხდის მათ შორის მეოთხე, რომე-
ლიც ღვინოს ზედიზედ აძალებს ტკბილ მეგო-
ბრებს.

— აბა იანგარიზე! — მიმართავს იგი ოფი-
ციანტს ქეიფის დამთავრების შემდეგ.

— როგორ, მე აქ ვიყო და შენ ფული გადა-
გახდევინო? ჩემს თავმოყვარეობას არ ვაკადრებ,
რომ შენ ფული მიგაცემინო.

— რატომ კაცო, მე დაგპატიუეთ და ფულ-
საც მე გადავიხდი.

— ჰატ! — წამოხტება ფეხზე მესამე, — ვის
წინაშე ბედავთ ფულის გადახდას. მე აქ კაცი
ვარ თუ ინდაურის ქუჩი... გამოდით აქეთ,
ფულს მე ვიხდი!

— ვინ იხდის ფულს, როცა მე აქ ვზივარ,
— შეპლრიალებს მეორე, — მოთმინებიდან ნუ
გამომიყვანთ, თორემ ვილაცხას თავს გავუ-
ტენავ!

შეიქმნება ერთი მიწვევ-მოწვევა. ყველას უნდა
ფული თვითონ გადაიხადოს.

უბედურება იმაშია, რომ ფული მათ შორის
მხოლოდ იმ ერთს აქვს, რომელმაც პირველად
გაიწია ანგარიშის გასასწორებლად.

დიდი კამათის შემდეგ, ფულის გადახდის
უფლებას ხელთ იგდებს პირველი მათგანი,
რომლის ჯიბეში, როგორც იტყვიან ხოლმე,
— თავებები „რიკ-ტაფელას“ თამაშობენ.

— რამდენია ჩვენზე? — ამბობს იგი ამაყად
და ჯიბეებზე ხელს ისვამს.

— რვა თუმანი და 60 კაპეიკი.

— დამაწერე მაგ ნახარჯი და გამოვიარ
ხვალ. მე ხომ იცი ვინ ვარ?

— არ ვიცი ძმაო და ვერც დაგაწერ, ეს
რესტორანი მამაჩემის კი არ არის... გამან-
თავისუფლეთ თუ ღმერთი გწამთ, სხვასთანაც
მაქვს საქმე.

— აბა ჩვენ უსაქმო ვართ?! ჰატ შენი... — ამ
სიტყვებზე ოფიციანტი გრძობს ცხვირპირში
რალაც მკვრივი საგნის მოხვედრას, ეს საგანია
იმ მოქეიფის თავი, რომელმაც ფულის გადა-
ხდის უფლება დიდის ბრძოლით მოიპოვა.

ამასობაში მეოთხე მათგანი ფულს ისევ
იღებს და აპირებს ჩუმად გადახდას, მაგრამ
სამ მათგანს ეს არ გამოეპარება. სტაცებენ
ხელს და მიბეგვავენ.

— აქ კაცად არ გვაგდებ თუ რაშია საქმე,
თავი დაარტყით მაგას...

ხუთიოდე წუთის შემდეგ ის მყუდრო კუთხე
საცოდავ სურათს წარმოადგენს. დამაპატიუე-
ბელს თავი აქვს გატეხილი, ხოლო ოფიციანტს
არც ერთი კბილი არ შერჩენია მთელი.

რესტორანში ტკბილად დაწყებული „ქე-
იფი“ სახალხო სასამართლოში მთავრდება.
თავმოყვარე რაინდებს თითო წლით ჰგზავნიან
ციხეში.

არქივო.



— მიდი რაღა, შაქარზე რიგი სრულებით არ არის!
— მაშ დავლუპულვართ! ამას იქით ჩვენგან ვინღა იყიდის!

ზამთარი საქართველოს მუჯახები

საქართველოს მუჯუემის განვიზრახე ნახვა,
რაც ვიხილე, ვითარ შევძლო მისი გამოსახვა?
ჯერ დარბაზში არც კი ვიყავ მთლიანად შესული,
რომ ერთბაშად სიცივისგან შემეხუთა სული...
სკამს დავჯექ და ცოტაოდნად როცა მოველ გონზე.
ჩრდილო პოლუსი ვიგრძენი საქართველოს ფონზე.
უორდროპსა მოვკარ თვალი, იჯდა წყნარი, ნაზი.
სიცივით დარღვეულიყო ვით მაჟინოს ხაზი.
ვასოც ვნახე აბაშიძე, გულს მოეცხო შადლი, —
ცხვორზე ყინული ეკიდა თითქმის მთელი ადლი.
წამოვდექი და ვაჟას წინ წარვსდექ ღიმის ბრწყინვით,
მან მწუხარედ შემომჩვილა: — გავითოზე ყინვით.
ექვთიმე დვას ათონელი, ამიჩუყდა გული, —
ქურქს ვუყიდდი, ათონს ვფიცავ, რომ მქონოდა ფული!...
დავით კლდიაშვილის ნახვამ დამიყენა თვალი,
წელში ისე მოხრილიყო, ვითარცა ნამგალი,
სიცივისგან დამდნარიყო ჭარმაგი მოხუცი,
წონაში თუ მოვიდოდა, ასე, შვიდი უნცი...
ერთ კარადში თვალი მომჭრა გრიშაშვილის ლექსმა,
სიმფონიად მომეჩვენა შოთასადმი შესხმა,
მაგრამ ამ დროს სტრიქონებმა შემომძახეს — „შეშა“!...
სასწაულმა მომღუნა და იქვე გამაშეშა...
შიშმა ისე ამიტანა, გამაქცუნა ისე,
რომ ვინც შემხვდა, შოფერივით ყველა გადავსრიე.
იმის შემდეგ ავადა ვარ სუნთქვა მექცა ქმენად,
მუჯუემო, ცოდვა ჰქონდეს, ვინც გავთოშა შენა.

კლაბონ-გვი



ელსანელთა „სამსახური“

(თბილისი რკ. გზა)

ელსმენელმა სულ არ იცის, რომ ვაჟი ვარ დედის ერთა, საორთქლმავლო დეპო ვთხოვე — მან კი სკოლას შემაერთა.

პლენანოვის კლუბს ვეძახდი, ღმერთმა ჭკუაზე მამყოფოს, უნებურად შემეერთეს რკინიგზის საავადმყოფოს.

სადგური გამოვუძახე, მინდოდა ცნობის მიღება, კინოდან გამცეს პასუხი: — სრულ შეიდ საათზე იღება.

ელდეპო ვთხოვე გულითა, მინდოდა ძია ალიო, აბანომ ჩამირუსულა: — დღეს არ გამთბარა წყალიო.

დილას „ფეხეუ“ მოვთხოვე, ვეძებდი ბიძა იულოს, და შემაერთეს ქალებმა უმაღლეს დამკრძალავ ბიუროს.

ფეხით სჯობია მიხვიდე, ვინც საქმისათვის გჭირდება, ამათთვის ჭკუის სწავლება „ნიანგს“ ნუ გაგიჭირდება.

ძნელოლლი

ლაშის რაინდი

(ჭიათურა)

ამბობენ გალაქტიონი ჯორბენადისა გვარისო, ულვაშს რომ აფხვერს ფოცხვით ბევრ ცოდვის მქნელი არისო.

გულში ღიღინებს: „მონა ვარ ღვინის, დუღუკის, ქალისო“, რკინიგზის სადგურს უფროსობს არ უყვარს შუქი მთვარისო.

გუშინწინ თურმე რაინდი გრძობებით მეტად აივსო, მერკულოვის ქალს ეწვია დამცემად შიშის ხარისო.

უთქვამს: „გბრძანებთ უფროსი თავი აღარ მაქვს დავისო, მსურს შენ და შენმა გოგონამ ეს გული გამიხალისო.“

დატაკებია დედა-შვილს ბრძოლა გამხდარა წამისო, მიუბეგვიათ გემოზე გაქვაცი შუა-ღამისო.

მარცხი მოსვლია დონჭუანს აშკარა გახდა თვალისო, ვფიქრობ ნიანგის საკბილოდ ზედ გამოჭრილი არისო.

ჭიჭიკო

ჩვენი უბნის აბანოები

ჩვენი უბნის აბანოში შევიარე გუშინ, სასიამო განბანების ფიქრი მქონდა გულში.

სალაროსთან ავიტუხე, როგორც ითხოვე წესი, — გთხოვთ, მიბოძოთ მე ნომერი კარგზე უკეთესი!

ამ სიტყვებით როს მოლარეს მივაწოდე ფული, ის განცვიფრდა, მომაჩერდა წარბებზე მკმუნხული:

— როგორ? განა თქვენ ქალი ხართ? შემეკითხა იგი, — წერა — კითხვა სულ არ იცით, არც წესი და რიგი?

ამ სიტყვებით წარწერაზე მიმიშვირა ცერი, შევხედე და წავიკითხე კონტად დანაწერი:

ბანაობა შეუძლიანო მარტოოდენ ქალებს, წავიკითხე, მაგრამ მაინც არ გუჯერი თვალებს.

— ესე იგი, ჩვენ რაღა ვქნათ? — ვკითხე „კასირს“ ფრთხილად, — ვინ თქვენ? — ისიც შემეკითხა უკვე მოწყენილად.

— ჩვენ, ასე ვსთქვათ, მამაკაცად ვინც რომ გაგჩენილვართ, უბანოდ, ჩვენს უბანში რატომ დავრჩენილვართ?


— არ ვიციო, — მომიგო მან, თან დასძინა მწყურალად, — მაგაზედაც მე ვიდარდო? რათ არ გაჩნდი ქალად?

გამოვბრუნდი და „აბანტრესტს“ ვეკითხე მკავეთ: — ნეტავ ვერელმა კაცებმა რაღა დაგიშავეთ?

წიწმატაური

სასადილოში

ნახ. ან. კანდელაკისა



— ეს ხომ ფეხსაცმლის ქუსლია.
— მაშ რა, სამ მანეთად მთელი ფეხსაცმელი გინდოდა თუ?
— არა, მე სადილი მინდოდა.

უსნაური მალაზია

(ხარავოლის რაიონი)

სოფელ წიფას, ვით სხვა სოფლებს, აქვს თავისი მალაზია, მე გარედან დავაკვირდი, მითხრეს: — შიგნით ლამაზია!

ვთქვი: — ვიყიდი რამე-რუმეს, გავიკარი ხელი ჯიბეს. დავაპირე შიგნით შესვლა, მაგრამ ვერ მივაგენ კიბეს.

გამიკვირდა არ მენახა მაგალითი ამისთანა, მალაზიას შესასვლელი აღარ უნდა ჰქონდეს განა?

„ლაწი“



ქალი — ინჟინრის მეტს არ წაყვები...
გულს დავიცემ დანასა.

ვაჟი — გათხოვების ცდაში, ქალო,
დაემსგავსე ტარანსა.

ქალი — ინსტიტუტი დავამთავრე
მეძახიან ექიმსა...

ვაჟი — გოგო, სოფლად წასვლა არ გსურს
შვილი კი ხარ გლეხისა.

ქალი — როგორც იქნა, შემიკერა
დედამ ოცი კაბაო...


ვაჟი — შენ საცოლედ არ აგირჩევ,
თუგინდ მომცე დაბაო.

ქალი — ბიჭო, რას გადამეკიდე,
რას მიხეთქავ გულსაო...

ვაჟი — კლდის მოგლეჯა მირჩენია
მე შენს სიყვარულსაო.

ქალი — მითხარი რა დაგიშავე
რატომ ამბობ მაგებსა, —

ვაჟი — იმიტომ რომ ვადაწყვები
მანიკურს და კაბებსა.



ვაჟი

ვამეზი სიხარულით
ჩვენშია ერთობ ცნობილი
მას მხარს უმშვენებს მელიტო
ჯიბუტი — მისი ძმობილი.
ამ გულმოდინე რაინდებს
საქმე რომ გამოლევიათ,
უცნაური რამ ხელობა
თაჯისთვის აურჩევიათ...
მოსუცთა სიებს აღდგენენ,
თან უმტკიცებენ ყველასა:

ვინც ჩვენ ნუსხაში ჩავარდა,
ნულარ მოელის შეველასა,
ამ ჩვენი სიის მიხედვით,
უფალი ითხოვს მათაო,
და საიქიოს საგზური
მივეციოთ იოლათაო.
ბევრ მოხუცს მართლაც შიში აქვს,
ამ უსაქმურთა, ნუსხისა,
ნიანგო, ღირსად გახადე
ვამეზი შენის სუსხისა...

ემბახა

ჩ ვ ე ნ ი უ ო ს ვ ა

ნათანეაშელს (ნატანები, მახარაძის რ.) უეჭველად თქვენი ნაწარ-
მოებები იშვიათი „ტალანტის“ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. სცენა-
ში ორი მთავარი მომქმედია: სან. ბ — ძე და გრ. ც — ძე, რომლე-
ბსაც საზიარო ყანა სხვის საზიაროდ გაუხდიათ, — სხვას ამუშავებ-
ენ და თვითონ კი არხეინად ცხოვრობენ. ამნაირად, თქვენი სცენუ-
რი ნაწარმოების სიუჟეტი საინტერესოა.


საილუსტრაციოდ მოგვყავს ნაწყვეტი:

- სან. — ჩემო ძმაო, გრიშა,
აწი რაღა გვიშავს.
- გრ. — საზიარო ყანა გვაქვს.
ჩვენ ეხარობთ, — სხვას ვაძრობთ ტყავს.
- სან. — ფიოდორ, რომ არ გვყავდეს,
მაშინ რით გავიხარდეს.
- გრ. — სხვისი შრომით ვცხოვრობთო,
ვიცხოვროთ და ვიყოთო.
- სან. — ფიოდორის ნაშრომსა
ძმურად ჩვენ გავიყოფითო.

გვთხოვთ, რომ თქვენი სცენიური ნაწარმოები გადავცეთ რომე-
ლიმე თეატრს დასადგმელად. — ჩვენის აზრით, მისი დადგმა უნდა
იქისროს თქვენი რაიონის პროკურორმა.


პირულისპირალს (ორჯონიკიძის რ.) თქვენი კოოპერაციის ბუხ-
პალტერ გ. კ — ძისა და მოლარე ქალის თ. ბ — ძის კარიკატურე-
ბის დახატვა სასურველად გიცვნიათ შემდეგი ნიშნების მიხედვით:
ბუხპალტერი ყოფილა სუსტი, მაღალი, შავგვრემანი, თხელი ცხვირით,
შავი უღვაშებით, აცვია გალიფე შარვალი და ფეხზე ჩექმები. მოლა-
რე ქალი: თმა შეკრეპილი, შავთვალწარბა, საერთოდ სიმპატიური
ქალიშვილია.

ეს ყველაფერი კარიკატურის მასალად თუმცა გამოდგებ, მაგრამ
ჩვენი მხატვარი მაინც უარს აცხადებს დახატვაზე, რადგან თქვენ მა-
თი გარეგნობა ზედმიწევნით აგიწერიათ, მაგრამ არა გაქეთ მოხსე-
ნებული მათი თავები. მაშასადამე, გაურკვეველია ჩვენთვის, გააჩნია
თუ არა თვითუფლ მათგანს თავი, ან რა ავლა დიდებსა ატარებენ
ისინი თავში?




ქართული
გაზეთები

ნახ. მის. ლებეშვიცისა



1) - რაღაც ხაეკვო ყურები მოუჩანს, რა ცხოველი უნდა იყოს?



2) და როცა კარგად დააკვირდნენ, იცნეს თუ რა ცხოველია.